ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## ნოდარ მელაძე: „ღარიბაშვილმა ჩვენი ხელფასებისა და სახლების დაყადაღება მოითხოვა“


გვ.5

პარასკევი, 18 თებერვალი, 2022 №35 (8813) ფასი: 60 თეთრი

# „კობახიძე რომელი ღირებულებებით გველაპარაკება – ქუჩური, ქურდული და შნირული?!“


გვ.2

## პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნების“ დამარცხება იოლზე იოლია, მაგრამ ხალხია პასიური“



## „კობახიძე ბაქიბუქობს. თუ რამე იცოდნენ გახარიაზე, არჩევნებამდე უნდა ეთქვათ“


გვ.3

გია ნოდია: „ოპოზიცია ამბობდა, პარლამენტი არალეგიტიმურიაო და ფაქტობრივად შეცდომა აღიარეს“

## „ოპოზიცია ივანიშვილს თამაშში არ უნდა აჰყოლოდა“


გვ.3

## უკრაინა მადრიდის ნატოს სამიტისგან კონკრეტულ გადაწყვეტილებას ელის


გვ.4

ლაშა ჩხარტიშვილი: „ბოიკოტი არის ერთადერთი გამოსავალი. ახლა დროა, ოპოზიციამ პარლამენტი დატოვოს და ქუჩაში გავიდეს“




გვ.2

## კობა გვენეტაძე: „ნათია თურნავა ჩემს მოადგილედ არ განიხილება“

## საზღვაუდან „ახალი კვირა“ გაქრა


გვ.2

„არხზე შავი სიები არსებობს“

ISSN 1987-9385

4 მილანში ქართველმა ქურდობის დროს ორივე ფეხი მოიტეხა

5 ნიკა კვარაცხელიას დედა: „მეგონა, ჩემი შვილის მკვლელების დედები მათ დასჯას თავად მოითხოვდით“

5 გამოძალვისთვის, იარაღის დაუფლებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის 6 პირი დააკავეს

6 რუსებმა ლუგანსკში საბავშვო ბაღი დაბომბეს

# „კობახიძე რომელი ღირებულებებით გველაპარაკება — ქუჩური, ქურდული და შნირული?!“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნების“ დამარცხება იოლზე იოლია, მაგრამ ხალხია პასიური“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი—კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**



***— ბატონო პაატა, ოპოზიციის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კონკრეტული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების პოლიტიკური დევნა დაიწყო და მანდატის შეჩერებასაც ამით ხსნიან. ყველაზე დიდი გამოხმაურება მაინც ჯაფარიძის თემას მოჰყვა. რამდენად მიეცემა შანსი ჯაფარიძეს, რუსთავის გავლით კვლავ დაბრუნდეს პარლამენტში? რას იტყვით თქვენ?***

— მე მგონია, რომ თავისთავად საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. ბუნებრივია, როდესაც თავის დროზე ოპოზიციამ სიების ჩახსნა მოითხოვა.

***— სწორედ ამას ჩაეჭიდა ხელისუფლება.***

— კი ბატონო, ასეა. პირველ ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა, 2-ში ტელევიზიით გამოვედი და ვთქვი, რომ ოპოზიცია უნდა შევიდეს პარლამენტში. თქვენთანაც მითქვამს არაერთხელ, რომ უნდა შესულიყვნენ. ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ, ეს რომ გააკეთა, მაგრამ ეს არის მათი პრობლემა. „ქართული ოცნება“ კი ძალიან დიდ შეცდომას უშვებს, რომ მათ ახლა არ აკმაყოფილებს და არ შეჰყავს პარლამენტში. ამით არღვევს დემოკრატიის პრინციპებს, ანუ რაც არ უნდა ცუდად ჩანდეს ოპოზიციის ოდესღაც რაღაც ქცევა, მათ ხომ შეცვალეს საკუთარი გადაწყვეტილება და ამომრჩევლისა და არჩევნების სასარგებლო ნაბიჯის გადადგმა სურთ, ამ ფონზე კი ამორალურია, სამარცხვინოა ხელისუფლების ასეთი პასუხი, რადგან ისინი უარს ეუბნებიან არა ოპოზიციას, არამედ დემოკრატიას. გახარიამ და ნაცმოძრაობამაც კი იპოვეს საერთო ენა, რათა გადაარჩინონ დემოკრატია. გამოდის კობახიძე ტელევიზიით და აცხადებს, ჩვენ ღირებულებებზე ვართ დაფუძნებულიო. საერთოდ რა ღირებულებებზე ლაპარაკობს კობახიძე?! ქუჩური მენტალიტეტი, „გაგების“ ღირებულება — აი, რაზეა დაფუძნებული. იმან შენ რაღაც გითხრა და შენ როგორ არ აპატიე. კობახიძეს ქუჩური აზროვნება აქვს. დღეს ყველაფერი გაინაღდეს 2024 წლამდე და ახლა რაღა დროს დემოკრატიაა?! ყველაფერი განაღდებული აქვთ, ნირვანაში თუხთუხებენ. ოპოზიციის შეცდომებიც იყო, რა თქმა უნდა...

***— არათანმიმდევრული იყო ოპოზიციაო. ასეა?***

— კი, გეთანხმებით. ოპოზიცია რომ არათანმიმდევრულია, ამით მხოლოდ თავის თავს აზიანებს, მაგრამ რაზე ფიქრობს ამ დროს „ქართული ოცნება“? ის არ ფიქრობს სახელმწიფოზე, არ ფიქრობს დემოკრატიაზე, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე შეინარჩუნოს ძალაუფლება და, სამწუხაროდ, ამას ახერხებს არათანმიმდევრული ოპოზიციის ხარჯზე. კობახიძემ აღიარა, რომ ისინი იყენებენ ოპოზიციის შეცდომებს. ზუსტად ასე მუშაობს რუსეთი, ერთი-ერთში. ზუსტად ასე მუშაობდა რუსეთი 2008 წელს, როცა იყენებდა ნაციონალური მოძრაობის შეცდომებს. რით განსხვავდება კობახიძის პოზიცია პუტინის პოზიციისაგან, როცა ის, იმის ნაცვლად, რომ არ გამოეყენებინა ნაცმოძრაობის შეცდომები, პირიქით, ამას იყენებდა თავისი იმპერიული ზრახვებისთვის. რით განსხვავდება კობახიძის აზროვნება პუტინის აზროვნებისაგან. რომელიც ასევე იყენებს ოპოზიციის შეცდომებს არა ქვეყნის, არამედ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. დაფიქრდეს კობახიძე, რომელი ღირებულებებით გველაპარაკება — ქუჩური, ქურდული და შნირული?! რას ჰგავს მისი საქციელი საერთოდ! ან რა მეთოდია დემოკრატიული მმართველობისა! თქვან პირდაპირ, ჩვენ არაფერი საერთო არ გვაქვს დემოკრატიასთან, დაგვანებეთ თავიო და მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება.

***— კობახიძე რომ განსაკუთრებული „გამოყვანილი ჯიშის“ პოლიტიკოსია, ამაზე არაერთხელ გისაუბრიათ.***

— დიახ, ასეა ნამდვილად. ალბათ კობახიძეა ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში არსებობისა, რომ მან გამოიყვანა ასეთი უნიკალური ჯიში, როგორიც არის კობახიძე. არსებობს ასეთი ერთეულები, მაგალითად, ფიზიკაში: ამპერი, ვოლტი, მათემატიკაში — მეტრი, სანტიმეტრი. ქართულ პოლიტიკაში კი შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთეული კობახიძე. როდესაც პოლიტიკოსი გინდა შეაფასო უარყოფითად, მაშინ გამოიყენებ ერთეულ კობახიძეს. ივანიშვილმა გამოიყვანა ქართული პოლიტიკის მანკიერი ერთეული — კობახიძე.

***— რას იტყვით ბადრი ჯაფარიძეზე, რა შანსები აქვს მას რუსთავში?***

— ჯაფარიძეს საკმაოდ მაღალი შანსები აქვს რუსთავში. რეალურად რუსთავი მართლაც ოპოზიციის დოყლაპიობის გამო წააგეს. რუსთავი, წესით, ოპოზიციას უნდა მოეგო და ეს საკრებულომაც დაამტკიცა. ახლა მაინც ჩამოყალიბდეს ოპოზიცია გონივრულობაში და სწორი ნაბიჯები გადადგას. „ქართული ოცნება“ იმუშავებს ნაცმოძრაობის ლეგენდაზე, ეს ფაქტია. ამიტომ უნდა ეცადოს ნაციონალური მოძრაობა, თუ ხელის შეწყობა არ შეუძლია, ხელს მაინც ნუ შეუშლის ჯაფარიძეს გამარჯვებაში. მე მიმაჩნია, რომ არსებობს საკმაოდ მაღალი შანსები.



**„ჯაფარიძეს საკმაოდ მაღალი შანსები აქვს რუსთავში. რეალურად რუსთავი მართლაც ოპოზიციის დოყლაპიობის გამო წააგეს“**

***— ბატონო პაატა, ქვეყნის საგარეო კურსზე რას იტყვით? ყველამ ერთხმად შეაფასა, რომ ხელისუფლების პოზიცია უკრაინასთან მიმართებით იყო ულირსი საქციელი. რას იტყვით თქვენ?***

— რატომღაც არსებობს მოსაზრება, რომ თუ ჩვენ ხმა ამოვიღეთ, რუსეთი შემოგვიბრუნდება. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ პოზიციას. პირიქით, რუსეთმა ჩვენთან უკვე მოაგვარა სიტუაცია და ახლა უკრაინას მიუბრუნდა. რუსეთმა საქართველოსგან უკვე მიიღო მეორე ბელორუსია. მეტიც, ბელორუსი ხალხი არ ემორჩილება რუსეთის მიერ დასმულ ფიგურას, ლუკაშენკოს. ჩვენთან კი ხალხი ჩუმადაა. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ბელორუსიაზე უარესია. ჩვენ მთლიანად ჩავბარდით რუსეთს. დღეს რა უნდა რუსეთს? მას უნდა, რომ უკრაინაც დაემსგავსოს საქართველოს. ეს არის მისი მთავარი ამოცანა. პუტინს უნდა, რომ უკრაინელი ხალხის სტერილიზაცია მოახდინოს, ისე, როგორც ეს საქართველოში მოახერხა. „ქართული ოცნების“ დამარცხება იოლზე იოლია, მაგრამ ხალხია პასიური. აპათიაა საზოგადოებაში. ისინი ვერ ხედავენ ასარჩევ ძალას. სწორედ ამის გაკეთება უნდა რუსეთს უკრაინაში. რაც ჩვენთან გამოუვიდა, იმედია, უკრაინაში არ გამოუვა. დღეს საქართველო არის რუსეთის საოცნებო სახელმწიფო. თუ რამე რუსული ოცნება არსებობს, ეს არის, მიაღწიოს თავის სამეზობლოში ისეთი სახელმწიფოების გამოყვანას, როგორიც არის საქართველო. რუსეთმა საქართველო უუნარო სახელმწიფოდ აქცია, რომელსაც არანაირი რეაქცია არ გააჩნია მიმდინარე პროცესებზე.

***— დღეს ბევრი საუბრობს იმის შესახებ, რომ პუტინმა ისე ღრმად შეტოპა უკრაინაში, უკანდასახევი გზა მოიჭრაო. ასეა?***

— დღეს პუტინს პრობლემა აქვს არა უკრაინასთან, არამედ დასავლეთთან. დასავლეთი, განსხვავებით საქართველოსაგან, ძალიან პრინციპული აღმოჩნდა. პუტინმა კარგად მოაგვარა სიტუაცია საქართველოსთან, მაგრამ ვერ მოაგვარა დასავლეთთან. დასავლეთი დემოკრატიულ ღირებულებებზეა დაფუძნებული. პუტინს ეგონა, რომ დადგა მისი დრო, რომ დასავლეთს ახლა მისთვის არ სცალია და, თავისი ჭკუით, ხელსაყრელი მომენტი შეარჩია, იფიქრა, დასავლეთს ხელიდან გააგდებინებდა უკრაინასა და საქართველოს. ნურას უკაცრავად, დასავლეთმა უარი უთხრა, დაიცვა თავისი პოზიციები და არ დაუთმო. პუტინი გაება მის მიერვე დაგებულ ხაფანგში, რომელიც მან დაუგო არა უკრაინას, არამედ დასავლეთს. დასავლეთი ეხმარება ამ ხაფანგიდან გამოსვლაში, მაქსიმალურად ცდილობს, რუსეთი ისე გამოვიდეს ამ ხაფანგიდან, რომ სახე შეინარჩუნოს.

# საზმაუდან „ახალი კვირა“ გაქრა

## „არხზე შავი სიები არსებობს“

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერიდან გადაცემა „ახალი კვირა“ გაქრა. ხელმძღვანელობამ ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გადაცემა ყოველგვარი განმარტების გარეშე, რეორგანიზაციის საბაბით დახურა.

გადაცემის წამყვანისთვის პროექტის შეჩერების გადაწყვეტილება გაუგებარია. მისი თქმით, „ალტ ინფოს“ მხრიდან მან მუქარები მიიღო.

გადაცემის დახურვას რადიკალური დაჯგუფება უკვე გამოეხმაურა. „ალტ ინფოს“ დაჯგუფება წერს, რომ გადაცემა, რომელიც რადიკალებს ამხელდა, ეთერში აღარ დაბრუნდება.

— 28 დეკემბერს გამოგვიცხადეს გადაცემაში რეორგანიზაცია და ის, რომ მე „ახალი კვირის“ წამყვანი აღარ ვარ. გაჩერდა გადაცემა, რომლის სამი რეპორტაჟი ჟურნალისტიკაში ევროკავშირის პრიზის ფინალში გავიდა, გუშინ გავიგეთ ამის შესახებ და გაჩერდა გადაცემა, რომელიც არხზე ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი და კრიტიკული იყო.



იმდენად აბსურდული მიზეზები იყო, უბრალოდ აზრიც კი არ აქვს ახსნას. რეალურად ერთადერთი, რაც გვითხრეს, არის ის, რომ ამ გადაცემამ ამ ფორმატით თავის თავი ამოწურა. ძალიან არ მინდა გადაცემის შეჩერება დავუკავშირო იმ მუქარებს, რომლებიც „ალტ ინფოს“ პარტიის ლიდერებისგან მოდიოდა ერთი თვით ადრე, ვიდრე გადაცემა შეჩერდებოდა, — განაცხადა იმედა დარსალიამ.

მისივე თქმით, გადაცემას წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჰქონდა ცენზურასთან სერიოზული პრობლემა.

— გადაცემის სარედაქციო პოლიტიკასთან გვქონდა სერიოზული პრობლემა, — ეს განცხადება იმედა დარსალიამ „ტვ პირველის“ ეთერში გააკეთა.

მისი თქმით, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის მხრიდან კონკრეტული თემების დაბლოკვის მცდელობებს ჰქონდა ადგილი.

— მე 2 წლის განმავლობაში ვცდილობდი, ტოპ მენეჯმენტიდან დაწყებული, ყველა რგოლთან ეს პრობლემები მოგვეგვარებინა, რადგან ეს არის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „ახალი კვირა“ იყო კვირის შემაჯამებელი ანალიტიკური გადაცემა, ამიტომ გამორიცხულია ნებისმიერი ტიპისა და თემის დაბლოკვა. საბოლოო ჯამში ეთერიდან გამიშვეს, — თქვა იმედა დარსალიამ.

ჟურნალისტის თქმით, „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ე.წ. შავი სიები არსებობს.

— ამას პირველად ვამბობ, იყო შავი სიები, თუმცა მეტ კონკრეტიკას ამ ეტაპზე არ ვაპირებ, რადგან სასამართლომდე აუცილებლად მივალთ, სადაც ყველაფერს ვიტყვი. შავი სიები ნიშნავს, ვინ უნდა ჩაწეროს ჟურნალისტმა და ვინ — არა. ეს მოდიოდა შიდა მენეჯმენტიდან.

მინდა ვთქვა, რომ ეს პრობლემები, არხის დირექტორის ჩარევით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოვაგვარეთ. გეტყვით, რომ ანალიტიკურ გადაცემა „ახალ კვირაში“ პოლიტიკა ოფიციალურად იყო აკრძალული, თუმცა არხის დირექტორთან მოლაპარაკებით და მისი ჩარევით პოლიტიკა დაბრუნდა და ყველა პრობლემური საკითხი ეთერს დაუბრუნდა, ეს იყო მცირე, მაგრამ კარგი პერიოდი „ახალი კვირის“ გუნდისთვის. მეტ-ნაკლებად მიწევდა ომი კრიტიკული თემის ეთერში გასასვლელად, — თქვა ჟურნალისტმა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი გადაცემის დახურვასთან დაკავშირებით განმარტებას არ აკეთებს.

აღმოჩნდა, რომ გადაცემა ისე დაიხურა, მაუწყებლის ბორდის წევრებისთვის ეს ფაქტი უცნობი იყო.

# კობა გვენეტაძე: „ნათია თურნავა ჩემს მოადგილედ არ განიხილება“

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ მისი მოადგილის თანამდებობაზე ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ნათია თურნავას კანდიდატურა განიხილება.



როგორც ჟურნალისტების შესაბამისი კითხვის საპასუხოდ გვენეტაძემ განაცხადა, თურნავას კანდიდატურასთან დაკავშირებით არანაირი კონსულტაცია არ მიმდინარეობს და არ აქვს ინფორმაცია, იგეგმება თუ არა, რომ თურნავამ ეროვნულ ბანკში გადაინაცვლოს.

— იმისთვის, რომ პიროვნება გახდეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოადგილე, ის ჯერ უნდა გახდეს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის წარდგენას აკეთებს საქართველოს პრეზიდენტი, — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიცია ივანიშვილს თამაშში არ უნდა აჰყოლოდა“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ბოიკოტი არის ერთადერთი გამოსავალი. ახლა დროა, ოპოზიციამ პარლამენტი დატოვოს და ქუჩაში გავიდეს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ლაშა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ბადრი ჯაფარიძეს სადეპუტატო მანდატი ჩამოერთვა იმისთვის, რომ სისტემას დაუპირისპირდა. როგორც ჩანს, ჯაფარიძე რუსთავში გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი იქნება. თუმცა განსხვავებული პოზიცია აქვთ „ლეიბორისტებს“. რატომ?***

— პირველ რიგში თუ ვინმე დაუპირისპირდა სისტემას, ეს „ლეიბორისტული პარტია“ იყო. ამიტომ პირადად შალვა ნათელაშვილსა და პარტიას გაუსწორდნენ. გარდა იმისა, რომ ნათელაშვილს გაუუქმეს მანდატი, პარტია ვერ მიიღებს დაფინანსებას. ეს არის პოლიტიკური ტერორი. ივანიშვილს ჩვენ, ოპოზიცია, ამ თამაშში არ უნდა ავყოლოდით. როგორც დავინახეთ, ერთადერთი, რაც ამ კაცს აწუხებდა, იყო იმიჯი. ერთპარტიული მმართველის იმიჯი არ უნდოდა ან ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა და რაღაცების შეეშინდა. ამიტომ ოპოზიციასთან დაიწყო ხვეწნამუდარა, რომ როგორმე პარლამენტში შევეყვანეთ. ოპოზიციამაც არ დააყოვნა და შევიდა. ამის შემდეგ დაიწყო ყველაფერი ცუდი.

ფაქტია, როდესაც დაინახა „ქართულმა ოცნებამ“, რომ მათ გაინაღდეს ყველაფერი და დაინახეს, რომ ამ პარლამენტიდან ოპოზიცია ფეხისმომცვლელი არ არის, ადგნენ და დაიწყეს პოლიტიკური თუ პირადი ანგარიშსწორება და დაიწყო ის, რაც დაიწყო — მანდატების ჩამორთმევა, პარტიის დაფინანსების შეჩერება. რა კომისია, რის კომისია, თქვენ ხომ კარგად ხართო?! — უთხრეს ოპოზიციას. ამის შემდეგ ამ ყველაფრის ატანა და შეგუება, თითქოს არც არაფერი მომხდარა, შეუძლებელია.



რა თქმა უნდა, ბადრი ჯაფარიძის მიმართ უსამართლობას ჰქონდა ადგილი. მე არ გახლავართ იურისტი, მაგრამ მთელი ცხოვრება ადამიანის უფლებებს ვიცავ და ვიცი, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოო არ არის და ყველა ინსტანცია არ აქვს ამოწურული, მათ შორის თუნდაც სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პარლამენტს არ აქვს უფლება, ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატს უფლებამოსილება ჩამოართვას, რადგან მერე ვერ აღუდგენს. ამიტომ ძალიან რთულად არის საქმე. უსამართლობასთან ერთად, სამართლებრივ ნონსენსთანაც გვაქვს საქმე, როდესაც კაცი ამბობს, ბოიკოტს, პროტესტს ვუცხადებ პარლამენტსო და მას უშვებენ, შეუძლებელია, პროტესტი არასაპატიო იყოს.

***— შალვა ნათელაშვილი ჩივილს აპირებს?***

— დიახ, საკონსტიტუციო სასამართლოში. თუმცა, რა თქმა უნდა, შეიძლება, აზრი ნაკლები იყოს იმ ფონზე, რასაც ვუყურებთ სასამართლოებთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც.

***— დანარჩენი ოპოზიციისგან განსხვავებულ პოზიციაზე გკითხეთ.***

— დიახ, ქუჩაში გასვლა და კვლავ პროტესტი, ბოიკოტი არის ერთადერთი გამოსავალი. ახლა დროა, ოპოზიციამ პარლამენტი დატოვოს და ქუჩაში გავიდეს სრულად, არა ცალი ფეხით, არამედ სრულად. ელისაშვილებს არ ვგულისხმობ. ეს არის დღეს ჩვენი პოზიცია. გასაგებია ადამიანურად ბადრი ჯაფარიძის პოზიცია, რომ ის ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და შეიძლება, ამ მანდატის აღდგენა ღირსების საქმედაც მიაჩნდეს, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდება ოპოზიცია პარლამენტში ვერც ამ ერთი მანდატის გამოკლებითა და ვერც მისი აღდგენით. რუსთავში გამარჯვება ძალიან სიმბოლური იქნება, ტრიბუნისთვის კი პარლამენტში დარჩენა ძალიან ცუდად ჩანს. გაჭირვებაში მყოფი ადამიანები ვერაფერს ვერ მიიღებენ პარლამენტის ამ ტრიბუნიდან, რეალური ცვლილებებია საჭირო.

საგამოძიებო კომისიასაც კი ვერ შექმნიან, რისთვისაც ბევრი მათგანი იქ შევიდა, რაღა დარჩა?!

***— საკონსტიტუციო ცვლილებები. საარჩევნო სისტემის ცვლილება არ იქნება? ოპოზიცია ამბობდა, საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს მივიღებთ და მერე დავტოვებთო.***



— არსებული მოცემულობით, შეუძლებელია, საარჩევნო კოდექსი შეიცვალოს და პროპორციულ სისტემაზე გადავიდეთ. რატომ შეცვლის, რა აიძულებს, რომ შეცვალოს?! თუ ოპოზიცია პარლამენტს დატოვებს და ქუჩაში გავა, მაშინ საარჩევნო სისტემასაც შეცვლის, საარჩევნო ბარიერიც საერთოდ აღარ იქნება და ძალიან ბევრ რამესაც შეგვეხვეწება.

***— კონსულტაციები გექნებათ?***

— ეს ჩვენი ღია პოზიციაა. შეხვედრებიც იქნება, რასაკვირველია, მაგრამ გადაწყვეტილება თითოეულმა მათგანმა თვითონ უნდა მიიღოს. რაც უფრო გახანგრძლივდება ეს პროცესი, მით უფრო მოგვიცავს კორუფცია, მით უფრო მეტი ხალხი გაღატაკდება, მით უფრო მეტი ადამიანი წავა ამ ქვეყნიდან ემიგრაციაში, მით უფრო ნაკლები ხალხი ირწმუნებს ჩვენსას. ამაზე უნდა ვიფიქროთ. პარლამენტში დარჩენილმა ოპოზიციამ უნდა იფიქროს იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ დეკორაციად არ დარჩეს.

# „კობახიძე ბაქიბუქობს. თუ რამე იცოდნენ გახარიაზე, არჩევნებამდე უნდა ეთქვათ“

## გია ნოდია: „ოპოზიცია ამბობდა, პარლამენტი არალეგიტიმურიაო და ფაქტობრივად შეცდომა აღიარეს“

იაგო ნაცვლიშვილი

**რამდენად სწორია ნაციონალური მოძრაობისა და გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ თანამშრომლობა? არის თუ არა შანტაჟი ირაკლი კობახიძის მუქარა გიორგი გახარიას მიმართ? რა შეცდომები დაუშვა ოპოზიციამ და რა სირთულეები ელოდება მას რუსთავში შუალედურ არჩევნებში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია საუბრობს.**





***— ვნახეთ, რომ ოპოზიციონერ დეპუტატებს მოუხსნეს მანდატები, თუმცა ბადრი ჯაფარიძე აგრძელებს დეპუტატობისთვის ბრძოლას, აპირებს კენჭისყრას რუსთავის მაჟორიტარად და ოპოზიციაც გეგმავს მის მხარდაჭერას. „ოცნება“ გამარჯვების საშუალებას მისცემს?***

— არ ვიცი. თქვენ არჩევნების შედეგის პროგნოზირებას მთხოვთ. ეს რთულია. საერთოდ ახლა ერთგვარი დაბნეულობა და იმედგაცრუება სუფევს ოპოზიციის რიგებში, ამიტომ, შესაძლოა, ოპოზიციას გაუჭირდეს მობილიზაცია, მაგრამ, თუ შეძლებს ამას, გამორიცხული არაფერია.

***— დაქსაქსულობა შეინიშნება ოპოზიციაში დღესდღეობით?***

— დაქსაქსულობაც არის, მაგრამ ეს არ არის პრობლემა. ნაციონალურმა მოძრაობამ მხარი დაუჭირა და გამოაცხადა ეს. დანარჩენებიც მხარს დაუჭერენ. არა, დაბნეულობაში თვითონ ოპოზიციური ამომრჩევლის განწყობას ვგულისხმობ, რომელიც რაღაცნაირად იმედგაცრუებულია. იმედგაცრუებულია იმით, როგორც ვითარდება მოვლენები. ოპოზიციამ ერთგვარი სისუსტე გამოიჩინა ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის თვალში. ამიტომ საზოგადოებაში ახლა არის პესიმისტური განწყობა და, როცა პესიმისტური განწყობაა, რთულია მობილიზაცია.

***— იმ არათანმიმდევრულ ნაბიჯებს გულისხმობთ, რომლებიც ოპოზიციამ გადადგა ბოლო ორი წლის განმავლობაში?***

— კი ბატონო. მოლოდინები ასწია ოპოზიციამ იმით, რომ ჯერ გამოაცხადა ბოიკოტი, შემდეგ სააკაშვილი ჩამოვიდა და მიანიშნა, ისე იქცეოდა, რომ სადაცაა დამთავრდება ივანიშვილის რეჟიმი, იქნება ვადამდელი არჩევნები და ა.შ. ეს მოლოდინები გააჩინა ოპოზიციამ და მერე არაფერი არ გამოვიდა აქედან. ამას ვგულისხმობ ოპოზიციის დაბნეულობაში.

***— გარკვეული კითხვები გააჩინა ნაციონალური მოძრაობისა და გახარიას პარტიის თანამშრომლობამაც საკრებულოების დონეზე. გასაგებია, რომ რეალურად ბევრი ალტერნატივა არც არსებობდა, მაგრამ, ხომ არ ფიქრობთ, რომ მეტი ახსნაა საჭირო საზოგადოებისთვის, თუნდაც იმაზე, რომ აღარ არის გახარია თვალთხარია?***

— თვალთხარიაა თუ ვინც არის, ეს არის დემოკრატიული პოლიტიკის ნაწილი და არსებობს დემოკრატიული პოლიტიკის ელემენტარული წესები. უნდა შეხვიდე კოალიციაში იმასთან, ვისთანაც უნდა შეხვიდე, იმიტომ, რომ სხვანაირად არ გამოვა. აქედან გამომდინარე, გიორგი გახარიასთან კოალიციის შექმნა სრულიად ლოგიკური იყო. გასაგებია, რომ ჩვენთან უფრო რომანტიკული წარმოდგენები აქვთ პოლიტიკაზე და არა რეალისტური, მაგრამ პოლიტიკა ასეა. შესაძლებლობა სადაც ჩნდება, იქ ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენო.

***— ეს გასაგებია, მაგრამ მეტი ახსნა ხომ არ არის საჭირო საზოგადოებასთან-მეთქი, ამას ვკითხულობ.***

— მეტი ახსნა საჭიროა. მე მგონი, ეს არის ასახსნელი მოქალაქეებისთვის. გასაგებია, რომ გახარია მიუღებელია ნაციონალური მოძრაობის ბევრი მხარდამჭერისთვის, მაგრამ გახარიას მომხრეებისთვისაც მიუღებელია ნაციონალური მოძრაობა, მათთვის, ვინც გახარიას მისცა ხმა, მაგრამ ორივემ უნდა აუხსნას თავიანთ ამომრჩევლებს, რომ პოლიტიკა ასე კეთდება. სხვანაირად არ კეთდება დემოკრატიული პოლიტიკა.

***— ეს რომ ცალსახად მიუღებელია მმართველი პარტიისთვის, ირაკლი კობახიძის გუშინდელი განცხადებიდანაც გამოჩნდა, სადაც ის ემუქრება გახარიას, რომ იტყვის, სინამდვილეში რატომ წავიდა გუნდიდან. ეს შანტაჟის ენის გაგრძელებაა?***

— ცხადია, შანტაჟის ენაა, მაგრამ კონკრეტულად რამე იმალება თუ არა ამ შანტაჟის უკან, არ ვიცით. შეიძლება, ეს არის შანტაჟი, მაგრამ, შეიძლება, ბაქიბუქობაა. თუ რამე იცოდნენ გახარიაზე, არჩევნებამდე ეთქვათ, რათა აეხილათ თვალი იმ ხალხისთვის, ვინც აპირებდა გახარიასთვის ხმის მიცემას. ახლა ხელების ქნევა და რაღაც შეშინება, უბრალოდ, აბსურდია.

***— დღეს როგორ უნდა გააგრძელოს ოპოზიციამ ბრძოლა და რა მეთოდებზე უნდა გადავიდეს? ფაქტია, რომ ის მეთოდები, რომლებსაც დღეს იყენებენ, საკმარისი არ არის „ოცნების“ შესაკავებლად.***

— უნდა დაუბრუნდნენ საპარლამენტო და კონსტიტუციური ბრძოლის მეთოდებს. ფაქტობრივად ეს უკვე მოხდა. ამის ეფექტიანად მუშაობა ძნელია, იმიტომ, რომ მაქსიმალისტური პოზიციები ჰქონდათ, ამბობდნენ, რომ ეს პარლამენტი არალეგიტიმურია და ახლა ამ პარლამენტის მეშვეობით უნდა იბრძოლონ ანუ პრაქტიკულად აღიარეს თავიანთი ძველი პოზიციის შეცდომა. ეს მტკივნეული და არასასიამოვნოა, მაგრამ სხვა გზა არ არის.

***— ის პოზიცია სწორია, როდესაც მიმართავენ მმართველ პარტიას, სიების ჩახსნა აღარ იყოს ძალაში და მოგვეცით საშუალება, გასული დეპუტატების ადგილი მათმა ადგილმონაცვლეებმა დაიკავონო. ეს ხვეწნას ხომ არ ჰგავს?***

— ფაქტობრივად ასეა. ხვეწნა რამდენად არის, არ ვიცი, მაგრამ ერთგვარი აპელირებაა „ოცნების“ კეთილ ნებაზე. მე იურიდიულ დეტალებში ვერ ვერკვევი, მაგრამ ფაქტია, რომ ისინიც (ოპოზიციის წარმომადგენლები) სიების ჩახსნით ზრუნავდნენ იმაზე, რომ შეუქცევადი ყოფილიყო ბოიკოტის პოლიტიკა და ვიღაცას არ ესარგებლა მათივე სიებიდან, ანუ რიგით წარმომადგენლებს.

ახლა უკვე ეს ჩახსნა აღარ არის მათ ინტერესებში, იმიტომ, რომ უბრუნდებიან საპარლამენტო პოლიტიკას და ახლა „ქართული ოცნებაც“ თავის კეთილ ნებას არ იჩენს ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთადერთი, რაც შეიძლება ამ საკითხზე ითქვას, ის არის, რომ უნდა გამოიტანონ ადეკვატური გაკვეთილი ამ გამოცდილებიდან, რომ მომავალში ასეთი შეცდომები აღარ დაუშვან.

## კობახიძე: „გახარიაზე ახალ ამბებს მალე გაიგებთ“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას შესახებ ახალი დეტალები საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი.

როგორც მან პარლამენტში ჟურნალისტებთან განაცხადა, საქმე ეხება არა სამართლებრივ საკითხს, არამედ პოლიტიკურ განცხადებას.

— დიდხანს არ მოუწევთ ლოდინი ამ დეტალებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ფაქტებსა და მტკიცებულებებს, ეს მათ თავად წარმოადგინეს, როდესაც რამდენიმე კვირის განმავლობაში 4 მუნიციპალიტეტში შეკრეს ღია კოალიცია. მეტი ფაქტი და მტკიცებულება არავის არ სჭირდება, — აღნიშნა მან.

კობახიძე ამბობს, რომ „გარკვეული უხერხულობა“ უნდა მოიხსნა და ამის შემდეგ გახდება ყველაფერი ცნობილი.

გარდა ამისა, იგი ამბობს, რომ ეს განცხადება გახარიას წარსულ და ამჟამინდელ საქმიანობას შეეხება.

16 თებერვალს ირაკლი კობახიძემ „პალიტრანიუსის“ ეთერში განაცხადა, რომ დადგება დრო, როდესაც იტყვიან, რა მოხდა 1 წლის წინ. მისივე თქმით, „ეს ინფორმაცია გარკვეული ტიპის უხერხულობას შეიცავს“.

# უკრაინა მადრიდის ნატოს სამიტისგან კონკრეტულ გადაწყვეტილებას ელის

## რა სცენარებს ელიან ლუგანსკისა და დონეცკის „დამოუკიდებლობის“ თემაზე

მარიამ მჭედლიშვილი



დასავლეთის ერთსულოვნებისა და რუსეთის მიმართ დაპირისპირების ფონზე უკრაინაში მაინც არსებობს ეჭვი, რომ კრემლს „უსაფრთხოების გარანტიებს“ მისცემენ და მთავარ მოთხოვნებს დაუკმაყოფილებენ. მოსკოვის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა უკრაინისა და საქართველოს ნატოში არმიღება.

ამის გამო უკრაინის ხელისუფლება თადარიგს იჭერს და ნატოს მადრიდის სამიტისგან კონკრეტულ გადაწყვეტილებას ელის. საუბარია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის მიღების რეალური პერსპექტივის გაჩენაზე.

– მადრიდის ნატოს სამიტისთვის მზადების წინ, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გაიმართება, უკრაინა აყენებს ერთ მარტივ პირობას. გვესმის, რომ ნატოს წევრი იმავე დღეს ვერ გავხდებით, მაგრამ ნატოს შემდგომი 10 წლის სტრატეგიის დამტკიცებისას გვინდა დავრწმუნდეთ, რომ პერსპექტივაში შევალთ ნატოში, – აცხადებს უკრაინის ვიცეპრემიერი ევროატლანტიკურ საკითხებში ოლგა სტეფანიშინა.

უკრაინაში ფართო განხილვის საგანია ლუგანსკისა და დონეცკის „სახალხო რესპუბლიკების“ მიმართ რუსეთში დაწყებული კამპანია. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო დუმამ თავისი დადგენილებით მიმართა პრეზიდენტ პუტინს ამ წარმონაქმნების დამოუკიდებლობის აღიარების მოწოდებით. პუტინმა ჯერჯერობით ეს ცნობად მიიღო.

ამის პასუხად უკრაინამ მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს და მოუწოდა, განიხილოს რუსეთის სახელმწიფო დუმის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება. უკრაინაში თვლიან, რომ ეს ნაბიჯი ნიშნავს რუსეთის გამოსვლას მინსკის შეთანხმებიდან.

რუსეთში უკვე დათვლილი აქვთ, რომ ლუგანსკისა და დონეცკის აღიარებით უკრაინა დაკარგავს 3, 6 მილიონ მოქალაქეს.

უკრაინა ამ თემის ირგვლივ სხვადასხვა სცენარზე მსჯელობს.

არ არის გამორიცხული, რომ პუტინმა საბოლოოდ ეს წარმონაქმნები არ აღიაროს. ამის მაგივრად ის სხვა სახის გამარჯვებაზე იფიქრებს. კერძოდ, გაიზრდება ზეწოლა უკრაინაზე როგორც რუსეთის, ისე ევროპელი პარტნიორების მხრიდან. კრემლი ეცდება დათმობების მიღწევას და პირდაპირი დიალოგის ლობირებას კიევსა და ოკუპირებული რეგიონების ადმინისტრაციებს შორის. ეს მოხდება მინსკის შეთანხმებების შესაბამისად.

თუ პუტინმა დონბასის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობა“ აღიარა, მაშინ რუსეთი ჩაითვლება გამოსულად მინსკის შეთანხმებებიდან. ამასთან, ეს გაზრდის სიტუაციის სამხედრო გამწვავების რისკებს.

თუ რუსეთი აღიარებს ამ რესპუბლიკებს სამხედრო გამწვავების გარეშე, მაშინ, უკრაინელი ანალიტიკოსების აზრით, მოსალოდნელია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სქემის გამეორება: რუსეთი ოკუპირებულ დონბასშიც ღიად ჩააყენებს თავის ჯარებს.

ამის ფონზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მოუწოდებს საკუთარ მოქალაქეებს, უკრაინის გარდა, ბელარუსი და მოლდოვის დნესტრისპირეთიც დატოვონ.

ამას სახელმწიფო დეპარტამენტი პირველ რიგში უკრაინის საზღვარზე შექმნილი სიტუაციით ხსნის. ამას ემატება ბელარუსი სამართალდამცავი ორგანოების თავგასულობა და დაკავების რისკი, მოლდოვის შემთხვევაში – კონფლიქტი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასა და დნესტრისპირეთს შორის.

– ჩვენი მიზანია, დავარწმუნოთ პუტინი, აირჩიოს დიპლომატიისა და არა აგრესიის გზა, – აღნიშნავს აშშ-ის დროებითი რწმუნებული უკრაინაში კრისტინა კვინი.

მისი თქმით, აშშ თავის მოკავშირეებთან ერთად ყველაფერს აკეთებს, რათა პუტინმა დიპლომატიის გზა აირჩიოს. ამასთან, ის აღნიშნავს, რომ დასავლელი პარტნიორები შეშფოთებული არიან საზღვარზე რუსეთის ჯარის თავმოყრით, რუსეთის აგრესიული რიტორიკითა და იმით, რომ აგრესიული მოქმედებები შეიძლება ნებისმიერ მომენტში დაიწყოს.

ეს სიტყვებიც ადასტურებს, რომ ომის საფრთხე ამოწურული არ არის.

## ლაშა ხუციშვილი: „საწვავის ფასები შეიძლება დავაზღვიოთ“



საქართველოს ფინანსთა მინისტრ ლაშა ხუციშვილის განცხადებით, საწვავზე ფასების ზრდის ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში მთავრობამ, შესაძლოა, დაზღვევის მექანიზმები შეიმუშაოს.

როგორც ხუციშვილმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში გამოსვლისას განაცხადა, საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასების მკვეთრი ზრდაა, რაც გეოპოლიტიკური მდგომარეობით არის გამოწვეული.

– საწვავთან მიმართებით ნამდვილად გვაქვს მკვეთრი ზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, რაც გამოწვეულია იმ გეოპოლიტიკური მდგომარეობით, რაც ჩვენს რეგიონში და მსოფლიოში არსებობს. ბუნებრივია, საგადასახადო პოლიტიკა ვერ იქნება მორგებული მოკლევადიან რყევებზე საერთაშორისო ბაზრებზე, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ შევხედავთ, რომ ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად იზრდება, შესაძლებელია ვიმუშაოთ დაზღვევის მექანიზმებზე ამ მიმართულებით.

ეს არ იქნება ე.წ. საფეხურებრივი სისტემა აქციზის. შესაძლებელია იყოს დაზღვეული როგორც ზედა ჭერი, ასევე ქვედა ნაწილი ფასების, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

## გაზაფხულზე ნატო-საქართველოს ერთობლივი სამხედრო სწავლება ჩატარდება

ბრიუსელში ვიზიტით მყოფი საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე 17 თებერვალს ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს შეხვდა.

შეხვედრა ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა, სადაც თავდაცვის მინისტერიალი მიმდინარეობს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

„თავდაცვის მინისტრმა გენერალურ მდივანს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და მიესალმა ნატოს მტკიცე პოზიციას ალიანსის ღია კარის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

მხარეებმა უსაფრთხოების საერთო გამოწვევებსა და რუსეთის მხრიდან მომავალ საფრთხეებზე იმსჯელეს. მინისტრმა მზარდი გამოწვევების ფონზე, რეგიონში ნატოს გაძლიერებული ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებსა და თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ რეფორმებს, რომლებიც ნატოსთან თავსებადობის გაზრდას ისახავს მიზნად. ყურადღება გამახვილდა ნატო-საქართველოს ერთობლივ საერთაშორისო სამხედრო სწავლებაზე, რომელიც გაზაფხულზე საქართველოში უკვე მესამედ ჩატარდება.

შეხვედრაზე დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმები, თავდაცვის ძალების თავსებადობის დონე და ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმი“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

## თემურ ჯანაშია: „მინდა, ზურაბიშვილმა სააკაშვილის 2013 წელს გამოცემულ განკარგულებებს გრიფი მოხსნას“

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი თემურ ჯანაშია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მიმართავს, მიხეილ სააკაშვილის მიერ 2013 წელს გამოცემულ განკარგულებებს საიდუმლო გრიფი მოხსნას.

ჯანაშია პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადებებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ გრიფის მოხსნა სპეკულაციებს დაამთავრებს.

– ამ 9 წელიწადში, რაც ჩემს დევნას ახორციელებს ხელისუფლება, ასეთი განცხადება ბევრი მსმენია როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. ერთი მინდა ვთხოვო საქართველოს პრეზიდენტს, ეს სპეკულაციები რომ დამთავრდეს, მოხსნას პრეზიდენტ სააკაშვილის 2013 წელს გამოცემულ განკარგულებებს (გრიფი), იმ განკარგულებებს, რომელზეც ჩუბინიძე საუბარს აპირებდა სასამართლოზე, მაგრამ რაღაც ზემოქმედების შემდეგ ის აიძულეს, რომ არ ელაპარაკა ამაზე, – განაცხადა ჯანაშიამ.

ცნობისათვის, თემურ ჯანაშიასთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ ისაუბრა.

მისი თქმით, არიან კონკრეტული დეპუტატები, რომლებსაც, ძალიან სანდო წყაროების თანახმად, აქვთ მიღებული პირდაპირ მონაწილეობა რეკეტში. ამაზე კონკრეტული პირები პირდაპირ საუბრობდნენ და ძალიან სარწმუნოა ეს ინფორმაცია.

– ერთ-ერთი არის ბრალდებული კორუფციულ საქმეში, ჯანაშია, პარლამენტის წევრი. არის საქმე აღძრული, გამოძიება მიმდინარეობს, დროში იწელება, სამწუხაროდ, არის ასეთი მოცემულობა და, ვიდრე ბრალი არ დამტკიცდება ოფიციალურად, ჩვენ არ გვაქვს ბერკეტი არც ერთი დეპუტატის წინააღმდეგ. ვიდრე სამართლებრივი საფუძველი არ გვექნება, ბუნებრივია, მათ ვერ შევუწყვეტთ უფლებამოსილებას, – განაცხადა კობახიძემ.

## მილანში ქართველმა ქურდობის დროს ორივე ფეხი მოიტეხა



იტალიაში საქართველოს მოქალაქე დააკავეს. 27 წლის ბიჭი სან-დონატო-მილანეს სადგურზე დააკავეს. უსახლკარო მამაკაცი, რომელიც მრავალჯერ იყო დაკავებული ძარცვის გამო, ამჯერად ქურდობისთვის დააკავეს.

კარაბინერები მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც მეზობლებმა 112-ზე დარეკეს და შეატყობინეს, რომ ვია დი ვიტორიოს ქუჩაზე მამაკაცი პირველი სართულის ერთ-ერთი ბინის ფანჯარას ამსხვრევდა. კარაბინერების გამოჩენისთანავე მამაკაცი ფანჯრიდან გადახტა და გაქცევა ცადა, თუმცა ორივე ფეხი მოიტეხა და იოლად დააკავეს. ის თავდაპირველად ქალაქის კლინიკაში გადაიყვანეს დახმარების აღმოსაჩენად, შემდეგ კი – ციხეში.

მამაკაცს ნაქურდალი ნივთები და ოქროულობა თან ჰქონდა და პოლიციამ ისინი პატრონს დაუბრუნა.

# ადგილობრივი ბიზნესი ცალსახად დაჩაგრულია

უთანაბრო გარემო უცხოურ კომპანიებთან მიმართებით, ბუნდოვანი სანებართვო სისტემები – ამ და სხვა საკითხების საკანონმდებლო ინიციატივებით დარეგულირების მოთხოვნით გამოდის სახმელეთო ტრანსპორტის ასოციაცია.

ასოციაციის მიზნებსა და პრობლემებზე ,,ბიზნესპრესნიუსთან“ ასოციაციის დირექტორმა დავით მესხიშვილმა ისაუბრა.

მისი თქმით, არსებული პრობლემების მოგვარებასთან ერთად, აუცილებელია, რომ საქართველოში ტრანსპორტისა და საგზაო უსაფრთხოების კუთხით ევროდირექტივები დაინერგოს.

– გადამზიდავი კომპანიების მიერ შეიქმნა სახმელეთო ტრანსპორტის ასოციაცია, რომელიც წევრობაზეა დაფუძნებული. გაერთიანების მიზანია საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენა, რომლებიც ამ ბიზნესს სწორ და თანაბარ გარემოში მოაქცევს. მეორე მიზანი, იმ საერთაშორისო რეგულაციების დაწევაა, რომლებთან მიმართებით საქართველოს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვს, ანუ უნდა მოხდეს, ევროდირექტივების დანერგვა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უთანაბრო გარემო, რომელიც ამ ბიზნესშია, გამოსწორდეს. არიან უცხოური კომპანიები, რომლებიც თავის ქვეყანაში ვერ საქმიანობენ, იქ ვერ აკმაყოფილებენ პირობებს და შემოდიან საქართველოში. ადგილობრივ ბიზნესსა და მათ შორის, არ არის თანაბარი სასტარტო პირობები. ასოციაციის მიზანი ამ პრობლემების გამოსწორებაა.

დეტალებში რომ ჩავიდეთ, გადაზიდვები ხორციელდება მრავალჯერადი ნებართვებით, მათი რაოდენობა კი, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი. გადამზიდველები ითხოვენ, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ქვეყნებთან აწარმოოს სწორი და დროული კომუნიკაცია, რადგან ნებართვები როცა იწურება, ტვირთის გადაზიდვა ველარ ხდება და ადგილობრივ კომპანიებს ანაცვლებენ სხვა ქვეყნიდან შემოსული კომპანიები და ჩვენი ბიზნესი კარგავს ადგილს. ბიზნესის ადგილს, რომელმაც ბიუჯეტში თანხა უნდა შეიტანოს, ანაცვლებენ კომპანიები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში არ ფლობენ ხშირად შესაბამის ნებართვებს. ეს სისტემა ბუნდოვანია. გამოდის ისე, რომ ადგილობრივმა კომპანიებმა უნდა დააკმაყოფილონ უამრავი რამ, რაც ხშირ შემთხვევაში არ მოეთხოვებათ უცხოურ კომპანიებს. ისინი შემოდიან საქართველოში და პრაქტიკულად გამოდის, რომ უპრობლემოდ იღებენ ერთჯერად და მრავალჯერად ნებართვებს. ჯანსაღ კონკურენციას კი არ უფრთხის ვინმე, სასტარტო პირობები უნდა იყოს საერთო. უცხოური კომპანიები არ უნდა აკეთებდნენ იმას ადვილად, რისთვისაც ადგილობრივ კომპანიებს მაღალი მოთხოვნები აქვთ წაყენებული.

ასევე, ადგილობრივ ბაზარზე პრობლემაა ე.წ. დისპეტჩერების საქმიანობა, რომლებიც არ საჭიროებენ არც მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და არც ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობას, უბრალოდ, აკავშირებენ დამკვეთს შემსრულებელთან და ეს ქმნის ცალკე პრობლემას.

შემდეგ კი ხდება ისე, რომ ნებართვები როცა საკმარისი აღარაა, ზედმეტობით აღებული ნებართვებით შავი ბაზრის პრინციპით მიმდინარეობს ვაჭრობა.

ასე რომ, ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან გადამზიდველები, ჩვენი მიზანი კი, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, არის უსამართლო და ბუნდოვანი ნებართვების სისტემის გამოსწორება. როცა ასოციაცია იქმნებოდა, ჩვენ ვიცოდით აბსოლუტურად ყველა კომპანიის აზრი, რომლებიც თვლიან, რომ უცხოურ გადამზიდავ კომპანიებთან მიმართებით ადგილობრივი ბიზნესი ცალსახად დაჩაგრულია. ეს ბიზნესი, აქამდე თუ ვითარდებოდა, დღეს, შეიძლება ითქვას, რომ იმ დონის უკუსვლაა, შეიძლება, ადგილობრივი კომპანიები გაკოტრდნენ.

მისივე თქმით, ასოციაციაში ამჟამად 20 კომპანიაა გაწევრიანებული, თუმცა წევრების ოდენობა მზარდია.

## სარფში 84.272 ლარის არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სარფში 84.272 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

კერძოდ, როგორც უწყებაში განმარტავენ, საბაჟო გამშვებ პუნქტ ,,სარფში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილების, საბაჟო კონტროლის ფარგლებში განხორციელებული დეტალური დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონა 745,62 გრამი) ნაკეთობები აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 84.272,49 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

# ნოდარ მელაძე: „ღარიბაშვილმა ჩვენი ხელფასებისა და სახლების დაყადაღება მოითხოვა“

ფინანსური სანქციები ჟურნალისტებისთვის – ხელისუფლება კრიტიკული მედიის გაჩუმების ახალ ხერხებს მიმართავს. პრემიერ ღარიბაშვილის გარემოცვამ „ტვ პირველის“ გამომძიებელი ჟურნალისტების საბანკო ანგარიშებისა და ქონების დაყადაღების მოთხოვნით სასამართლოს უკვე მიმართა.

საქმე ეხება ბიზნესმენ ნუგზარ ალუღიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის მამის სავარაუდო ბიზნესინტერესებზე მომზადებულ გამოძიებას.

– სასამართლოში მედიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელები უკვე ბრძოლის წესად იქცა, – ამბობენ ჟურნალისტები.

„ნოდარ მელაძის შაბათის“ ავტორი და წამყვანი ნოდარ მელაძე პრემიერის პირად შურისძიებაზე საუბრობს.

– როგორც ჩანს, პრემიერი ღარიბაშვილი ძალიან გაბრაზდა იმ თემით, რომ სწორედ ჩვენმა გუნდმა გამოიკვლია ღარიბაშვილის მიერ მიტაცებული, გადაფორმებული ტყის ამბავი, ჩვენ მოვიპოვეთ ეს დოკუმენტები და პერსონალური შურისძიება გადაწყვიტა. ახლა მისი გარემოცვა და მასთან დაკავშირებული პირები სასამართლოში ჩივიან და ითხოვენ ჩვენი საბანკო ანგარიშების დაყადაღებას. ეს არის ერთადერთი ანგარიში, სადაც გვერიცხება ხელფასი, უნდათ ხელფასი ვერ ავიღოთ. უფრო შორს წავიდნენ და ასევე ითხოვენ ჩვენი საცხოვრებელი სახლების დაყადაღებას. სასამართლოს რეპუტაცია კი ამ ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილია და ახლა ამ გზით ცდილობენ ჩვენი საცხოვრებელი სახლები დააყადაღონ და ამით ჟურნალისტებზე პერსონალური ანგარიშსწორება განახორციელონ, – აცხადებს ნოდარ მელაძე.

ხმაურიანი ჟურნალისტური გამოძიების ავტორი, ჟურნალისტი მაკა ანდრონიკაშვილი ამბობს, რომ ყველა ის ინფორმაცია, რაც რეპორტაჟში გავიდა, ეყრდნობოდა მთავარი მოქმედი პირების განცხადებებს, რომლებიც წესით დიდი ბიზნესის მფლობელები უნდა ყოფილიყვნენ და, როგორც შემდეგში თვითონ საუბრობდნენ, აღმოჩნდნენ მუშები.

– ვფიქრობთ, ეს სარჩელი სწორედაც რომ პირად შურისძიებას უკავშირდება და სხვა არაფერს, – აღნიშნავს მაკა ანდრონიკაშვილი.

ჟურნალისტ-გამომძიებელი ამბობს, რომ მის რეპორტაჟში ყველა ფაქტი დოკუმენტებით იყო გამყარებული, ამასთან, თავად ნუგზარ ალუღიშვილი არ უარყოფდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის მამასთან, ტარიელ ღარიბაშვილთან, ახლო კავშირები ჰქონდა.

რაც შეეხება იურისტებს, ადვოკატები სარჩელს უპრეცედენტოს უწოდებენ. ქეთევან ზანდუკელი ამბობს, რომ მსგავს შემთხვევებში მოპასუხე მხოლოდ ტელევიზია უნდა იყოს და არა – ჟურნალისტები.

ამ შემთხვევაში, იმის გარდა, რომ ჟურნალისტები არიან დასახელებულები, დასახელებულია ნოდარ მელაძე და მოთხოვნილია ყადაღა მის ქონებაზე, რაც ძალიან საფუძვლიან ეჭვს ქმნის, რომ ეს არის იერიში არა მხოლოდ ტელევიზიაზე, არამედ მის ძირითად და მნიშვნელოვან აქტორებზე. ითხოვენ 20.000 ლარს მორალური ზიანისთვის, რაც ასევე უპრეცედენტო თანხაა. ჩვენი საერთო სასამართლოების პრაქტიკით, ასეთი თანხა დადგენილი არ არის არც ერთ დავაში.



ნუგზარ ალუღიშვილთან დაკავშირებით რეპორტაჟი 21 დეკემბერს მომზადდა. ღარიბაშვილებთან დაახლოებული პირი ნინოწმინდაში მიწებისა და ღვინის ქარხნის მფლობელია, ასევე ფლობს ხორბლის საცავებს, თუმცა ადგილობრივები პირდაპირ ამბობენ, რომ ეს ადამიანი არაფორმალურად მართავს პრემიერის მამის ქონებას.

# ნიკა კვარაცხელიას დედა: „მეგონა, ჩემი შვილის მკვლელების დედები მათ დასჯას თავად მოითხოვდით“



ანჯაფარიძის ქუჩაზე მოკლული ნიკა კვარაცხელიას დედა წერილს ავრცელებს.

როგორც კვარაცხელიას დედა წერილში აღნიშნავს, მკვლელობაში ბრალდებულებს მიცემული აქვთ აღიარებითი ჩვენება ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის შესახებ, თუმცა ბრალდებულების ოჯახი და ადვოკატები მათ „თავის დაღწევის მიზნით არ აძლევენ საშუალებას, რომ მკვლელებმა საზოგადოების წინაშეც აღიარონ ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული“.

ამასთან, კვარაცხელიას დედა, მკვლელობაში ბრალდებულების დედებს პირადად მიმართავს. მისი თქმით, ბრალდებულების ოჯახის წევრებმა საკუთარი შვილების დასჯის მოთხოვნის ნაცვლად, ძვირადღირებული ადვოკატები აუყვანეს.

„18 თებერვალს სასამართლო პროცესია, მინდა დავარღვიო დუმილი და მოგაწოდოთ უტყუარი ინფორმაცია, რომელიც არა მარტო ჩვენმა ოჯახმა, არამედ ბევრმა ადამიანმა იცის, რომ გიორგი კავილაძეს აქვს აღიარებული დანაშაული, მას დეტალურად აქვს აღწერილი დანაშაულის მომზადების ყველა დეტალი და დასახელებული ჰყავს დამკვეთიც, დამხმარეც და საკუთარ როლზეც ბევრი აქვს ნათქვამი. ეს იყო ძალიან დიდი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, როგორც მისი აღიარებითი ჩვენებიდან ვიცით.

სამი ულირსი ადვოკატი და ოჯახები ჯგუფური დანაშაულისგან თავის დაღწევის მიზნით არ აძლევს საშუალებას, რომ მკვლელებმა საზოგადოების წინაშე აღიარონ ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული. კაველაძეებმა ერთხელ უკვე მსგავსი მეთოდით დაიხსნეს შვილი დანაშაულიდან. ღმერთმა არ ქნას, რომ ამ რამდენიმე ადამიანს გადაჰყვეს ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულება.

საბრალოებო, ჩვენი რწმენა და მიმტევებლობა, ძალიან ცუდად გამოიყენეთ და ვერ გათვალეთ, რომ ამ ქვეყანაში არის კანონი, რომლის წინაშეც, მორწმუნეც და ურწმუნოც თანასწორია. ჯგუფურს მარტო კაველაძე და ჭელიძე კი არა, სხვა ახალგაზრდებიც ვერ დააღწევენ თავს.

ნათია ჯაფარაშვილსა და თეკლე გავაშელიშვილს პირადად მოგმართავთ, ჩვენ დიდხანს ველოდით თქვენგან და ეჭვადაც არ გვქონდა, რომ თქვენ პირიქით ადამიანურ სახეს შეინარჩუნებდით და იმ შემზარავი კადრების, ტერორისტული აქტის ხილვის მერე, რომელიც თქვენმა შვილებმა განახორციელეს და რომელიც მთელმა ქვეყანამ იხილა, თავად მოითხოვდით შვილების დასჯას, თქვენ კი ძვირადღირებული ადვოკატები აუყვანეთ და მათთან ერთად ფულზე ყიდით სინდისს“, – ნათქვამია წერილში.

ცნობისთვის, თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე, 21 წლის ნიკა კვარაცხელია ცეცხლსასროლი იარაღიდან 10-ზე მეტი გასროლით მოკლეს.

# გამოძალვისთვის, იარაღის დაუფლებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის 6 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, თბილისში 6 პირი დააკავეს, ორ პირს კი ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა.

საგამოძიებო უწყების ცნობით, მათ ბრალად თავისუფლების უკანონო აღკვეთა, გამოძალვა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და დანაშაულის შეუტყობინებლობა ედებათ.

„გამოძალვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული ა.მ. და 1978 წელს დაბადებული მ.მ.;

გამოძალვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ბრალდებით დაკავებულები არიან: 1970 წელს დაბადებული კ.ნ. და 1972 წელს დაბადებული გ.ლ;

დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული არიან: 1977 წელს დაბადებული გ.ჭ., 1999 წელს დაბადებული ა.ნ., ხოლო 2 პირს: 1969 წელს დაბადებულ რ.ჭ.-სა და 1974 წელს დაბადებულ ს.ჭ.-ს ამავე დანაშაულისთვის ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ.

დანაშაულები 4-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არსებული ფინანსური დავის საფუძველზე, დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის გაადვილების მიზნით, კ.ნ.-მ, გ.ლ.-მ, ა.მ.-მ და მ.მ.-მ ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს ვ.ტ.-ს და ძალადობის გამოყენების მუქარით მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

გამომძალველები ვ.ტ.-ს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, 51.000 ლარის მოტანას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ ძალადობის გამოყენებით ემუქრებოდნენ, რის გამოც მან თანხის გადახდაზე თანხმობა განაცხადა. დაზარალებული პირი ბრალდებულებმა მეორე დღეს, თანხის გადახდის პირობით გაათავისუფლეს.

ა.ნ., გ.ჭ., რ.ჭ. და ს.ჭ. შეესწრნენ ვ.ტ.-ს მიმართ განხორციელებულ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენას, თუმცა აღნიშნულის თაობაზე პოლიციას არ შეატყობინეს.

პოლიციამ დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას მობილური ტელეფონები და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.



გამოძალვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების, ასევე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 181-ე, 237-ე, 143-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

# პროკურატურამ ყალბი 50 და 100-ლარიანების დამზადებისა და გასაღებისთვის 2 პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ყალბი 50 და 100-ლარიანი კუპიურების დამზადებისა და გასაღებისთვის ორ პირს ბრალი წაუყენა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან ყალბი კუპიურების დასამზადებელი მოწყობილობები და გასასაღებლად გამზადებული 34 ერთეული ყალბი 50 და 100-ლარიანი კუპიურები იქნა ამოღებული.

„საქართველოს პროკურატურამ ყალბი ფულის დამზადების და გასაღების ფაქტზე ბ.ც.-სა და ლ.ჩ-ს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბ.ც. და ლ.ჩ. ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ბინაში განთავსებული სპეციალური საშუალებების გამოყენებით სისტემატურად ამზადებდნენ ყალბ 50 და 100-ლარიან კუპიურებს, რომლებიც 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 12 თებერვლის ჩათვლით თბილისსა და რუსთავში მდებარე რვა ობიექტში გაასაღეს, ხოლო 7 ობიექტში ყალბი კუპიურების გასაღება ცადეს.

სამართალდამცველებმა ბ.ც. და ლ.ჩ. სასამართლოს განჩინების საფუძველზე 15 თებერვალს დააკავეს. ბრალდებულების საცხოვრებელი სახლიდან



ყალბი კუპიურების დასამზადებელი მოწყობილობები და გასასაღებლად გამზადებული 34 ერთეული ყალბი 50 და 100-ლარიანი კუპიურები იქნა ამოღებული.

ორივე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ბრალდებულების მიერ სხვადასხვა ობიექტზე ყალბი ფულის გასაღების ფაქტების გამოსავლენად გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# „ქალმა არ იცოდა, რომ ორსულად იყო“

## ფოთში ახალშობილის მკვლელობაში ბრალდებულ დედას პატიმრობა შეეფარდა

ფოთში ახალშობილის მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 17 თებერვალს პატიმრობა შეუფარდა.



დაცვის მხარემ პროცესზე გირაოს შუამდგომლობა დააყენა. ადვოკატმა თქვა, რომ ქალს არასრულწლოვანი შვილი ჰყავს და მისი ოჯახური მდგომარეობა მძიმეა. ადვოკატი ექსპერტიზის დასკვნას ელოდება, რომელმაც უნდა დაადგინოს, რა გახდა ბავშვის გარდაცვალების მიზეზი.

პროკურატურა ამბობს, რომ ქალმა შვილი ჯერ გაგუდა, შემდეგ საკანალიზაციო მილში მოათავსა. უწყების მთავარი მოწმე ხელოსანია, რომელმაც ახალშობილის ცხედარი საკანალიზაციო მილში იპოვა.

– ამ ეტაპზე არის უტყუარი მტკიცებულებები, რომ ბრალდებულმა ეს დანაშაული ჩაიდინა, – ამის შესახებ პროკურორმა ალექსანდრე კოდუამ ფოთში სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა.

კოდუას განმარტებით, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს დეტალურად ვერ შეაფასებს, ვინაიდან გამოძიება გრძელდება, თუმცა ბრალდების მხარე დანაშაულის ჩადენის გარკვეულ ვერსიებს განიხილავს.

– ამ ეტაპზე არის უტყუარი მტკიცებულებები, რომ ბრალდებულმა ეს დანაშაული ჩაიდინა. მტკიცებულებებს დეტალებში ვერ შევაფასებთ, ვინაიდან გრძელდება გამოძიება. რა თქმა უნდა, გამოძიებას გარკვეული ვერსიები აქვს, დასრულდება გამოძიება და ამის შემდგომ იქნება დამატებითი განმარტებები გაკეთებული. დაინიშნება ყველა საჭირო ექსპერტიზა, რაც ამ საქმეზეა საჭირო, – აღნიშნა ალექსანდრე კოდუამ.

კომენტარი გააკეთა ადვოკატმაც.

– რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ბრალდებულმა არ იცოდა, რომ ორსულად იყო. როგორც თვითონ აცხადებს, ნაყოფი უფრო პატარა იყო, ვიდრე 9 თვის ბავშვი, – ამის შესახებ ბრალდებულის ადვოკატმა ცირა ჯავახიშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ჟურნალისტის კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ მალავდა ბრალდებული საკუთარ ორსულობას.

ჯავახიშვილი თვლის, რომ სასამართლომ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვებით ზედმეტად მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო.

– ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ამ ეტაპზე არ იკვეთება. მას აქვს გადატანილი გულის მანკი და გულის ოპერაცია აქვს ჩატარებული. ვთვლით, რომ სასამართლოს ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეეძლო გაეთვალისწინებინა და ამ ეტაპზე არ მიეღო ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების შესახებ. ვთვლით, რომ ეს მკაცრი გადაწყვეტილებაა და, შესაძლოა, ის გავასაჩივროთ.

მომხდარის მიზეზი ჩვენებაში არ არის განხილული. ამის შესახებ ინფორმაციას ამ ეტაპზე ვერ მოგაწვდით. ექსპერტიზის დასკვნას იმიტომ ველოდებით, რომ ის მოგვცემს შესაძლებლობას გავიგოთ, თუ რა მოხდა რეალურად – ახალშობილი გარდაცვლილი დაიბადა თუ ცოცხალი იყო და შემდეგ მოხდა დანაშაული. ამის გარკვევა აბსოლუტურად ცვლის კვალიფიკაციას, პროცესსა და ყველანაირ მოქმედებას. სწორედ ამიტომ წინასწარ ვერ მოგცემთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ამბობს ბრალდებული, – განაცხადა ადვოკატმა ცირა ჯავახიშვილმა.

ერთ-ერთი ვერსიით, ოჯახი ჩვილის გაშვილებას გეგმავდა, თუმცა ნაადრევმა მშობიარობამ ბავშვის სიცოცხლე შეიწირა.

ცნობისთვის, გარდაცვლილი ჩვილი ფოთში 14 თებერვალს იპოვეს.

მეორე დღეს პოლიციამ ახალშობილის დედა დააკავა.

# რუსებმა ლუგანსკში საბავშვო ბაღი დაბომბეს



რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ლუგანსკის ოლქში მძიმე არტილერიის გამოყენებით ცეცხლი გახსნეს.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ გაერთიანებული ძალების ოპერაციის პრესსამსახურის განცხადებაშია აღნიშნული.

„რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა ლუგანსკის ოლქის დასახლებულ პუნქტში, სტანიცა ლუგანსკში, ცეცხლი გახსნეს. ტერორისტების მიერ მძიმე საარტილერიო იარაღის გამოყენების შედეგად ჭურვები საბავშვო ბაღის შენობას მოხვდა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, წინასწარი მონაცემებით, ორმა სამოქალაქო პირმა ტვინის შერყევა მიიღო. ამასთან, გაერთიანებული ძალების ოპერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, დაზიანდა კომუნალური ინფრასტრუქტურაც და დასახლების ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

„გაერთიანებული ძალების ოპერაციის სამხედროებმა მშვიდობიანი მოქალაქეები თავშესაფარში სასწრაფოდ გადაიყვანეს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

– პრორუსული ძალების მიერ სტანიცა ლუგანსკში საბავშვო ბაღის დაბომბვა დიდი პროვოკაციაა.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ტვიტერში წერს.

„მნიშვნელოვანია, რომ დიპლომატები და ეუთო დარჩნენ უკრაინაში. მათი მონიტორინგის საქმიანობა დამატებითი შემაკავებელი ფაქტორია. ჩვენ გვჭირდება ეფექტური მექანიზმი ცეცხლის შეწყვეტის ყველა დარღვევის დასაფიქსირებლად“, – წერს უკრაინის პრეზიდენტი.

# პესკოვი: „სიყალბეა, რომ 20 თებერვლის შემდეგ უკრაინაში შევიჭრებით“



კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა გაზეთ პოლიტიკოს მონაცემებს 20 თებერვლის შემდეგ უკრაინაზე სავარაუდო შესაძლო თავდასხმის შესახებ „მორიგი სიყალბე“ უწოდა.

– ალბათ, კიდევ ერთი „ფეიკ“ ამბავი გამოჩნდა. იმედი მაქვს, მაინც არ დავიჯერებთ და არ ვენდობით ასეთ სიყალბეს. ეს ყველაფერი აღმოჩნდა უპასუხისმგებლო ყალბი ამბები, რომელთა არც ერთმა ავტორმა მოგვიანებით არ აღიარა, რომ შეცდა, – განაცხადა პესკოვმა.

მისი თქმით, ბოლო დროს ზოგიერთი დასავლური სახელმწიფოსა და ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აჩვენეს ღია ინფორმაციული აგრესია მოსკოვის მიმართ.

– ბევრი დასავლური ქვეყნის წარმომადგენელი, მრავალი ორგანიზაციის, მათ შორის ნატოს წარმომადგენლები, ბოლო დროს ავრცელებენ განცხადებებს, არსებითად, დაუფარავ საინფორმაციო აგრესიას ჩვენი ქვეყნისა და საქმის რეალური მდგომარეობის წინააღმდეგ, – განაცხადა კრემლის სპიკერმა.

მან აღნიშნა, რომ რუსეთი ებრძვის ამ აგრესიას და ცდილობს დაუპირისპიროს მას დაბალანსებული, მშვიდი, კონსტრუქციული განცხადებები, რომლებიც დიალოგისკენ მოუწოდებენ.

როგორც პესკოვმა აღნიშნა, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ინიციატივების მთავარი მიზანი უსაფრთხოების გარანტიების შესახებ რეალური დიალოგია.

# საფრანგეთი და მისი მოკავშირეები მალიდან გასვლას იწყებენ



საფრანგეთმა და მისმა მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ მალიდან ბარხანესა და თაკუბას ანტიჯიჰადისტურ ოპერაციებში ჩართული სამხედრო ძალების გაყვანას იწყებენ, რის მიზეზადაც გარდამავალი ხელისუფლების მიერ შექმნილ დაბრკოლებებს ასახელებენ.

– მალის გარდამავალი ხელისუფლების მიერ შექმნილი მრავალი დაბრკოლების გამო კანადა და ევროპული სახელმწიფოები თვლიან, რომ აღარ არსებობს დამაკმაყოფილებელი პოლიტიკური, ოპერატიული და სამართლებრივი პირობები იმისთვის, რომ ეფექტურად გააგრძელონ თავიანთი სამხედრო ჩართულობა მალიში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიტომ მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, დაიწყონ მალის ტერიტორიიდან ამ ოპერაციაში ჩართული სამხედრო რესურსების კოორდინირებული გაყვანა, – ნათქვამია განცხადებაში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ საფრანგეთს მალის დასატოვებლად 4-6 თვე დასჭირდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# დაბადების დღეზე მიღებულმა მოკრძალებულმა საჩუქარმა მამაკაცი გაამდიდრა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მკვიდრი მამაკაცი ოჯახის მიერ გაკეთებულმა მოკრძალებულმა საჩუქარმა გაამდიდრა. დაბადების დღეზე მამაკაცმა ოჯახის წევრებისგან საჩუქრად მომენტალური ლატარიის ბილეთი მიიღო. დამცავი ფენის გადაფხეკის შემდეგ ავსტრალიელმა აღმოაჩინა, რომ ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 185,5 ათასი ავსტრალიური დოლარი შეადგინა.

მამაკაცმა საკუთარი წარმატება მანამდე ვერ დაიჯერა, სანამ ბილეთი ლატარიის ოფისში არ მიიტანა.

– გაოგნებული ვიყავი! ახლა იმის აღქმა, რომ ერთი წლით გავიზარდე, უფრო ადვილია. ეს მეტად სასიამოვნო სიურპრიზი იყო. არ ვიცი, რამდენად შეძლებს ოჯახი მომავალ წელსაც მოლოცვის იმავე დონეზე შენარჩუნებას! – იხუმრა ავსტრალიელმა.

მამაკაცს და მის ოჯახს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, როგორ დახარჯავენ მოგებულ თანხას.

# მამაკაცმა საკუთარ შვილს ბეტმენი ამჯობინა



ქალის მტკიცებით, მისმა მეუღლემ ფილმ „ბეტმენის“ პრემიერაზე დასწრება ამჯობინა მათი პირველი ბავშვის დაბადებაზე დასწრებას.

25 წლის ქალის თქმით, ის ფეხმძიმობის ბოლო ეტაპზე იმყოფება. ექიმმა მას მშობიარობის სავარაუდო თარიღად 4 მარტი დაუსახელა. მომავალმა დედამ ასევე აღნიშნა, რომ იმავე დღეს შედგება ფილმ „ბეტმენის“ მსოფლიო პრემიერა, რომელშიც მთავარ როლს რობერტ პატინსონი თამაშობს, რომლის გამოტოვებას მისი ქმარი არაფრისდიდებით არ აპირებს და უკვე ემზადება მასზე დასასწრებად.

მამაკაცი დაჟინებით აცხადებს, რომ მისთვის მეტად მნიშვნელოვანია ფილმის სწორედ მისი პრემიერის დღეს ნახვა, რათა თავიდან აიცილოს სპოილერები. საკუთარი მეუღლის ნათქვამზე, რომ მას შესაძლოა საკუთარი ბავშვის დაბადება გამოეტოვებინა, უპასუხა, რომ უარეს შემთხვევაში რამდენიმე საათის დაგვიანებით მივა, რაც, მისი აზრით, არც ისე დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ქალმა აღნიშნა, რომ მას ძალიან სწყინს მეუღლის საქციელი, რადგან მას სურდა, რომ მეუღლის მხრიდან უფრო მეტი თანადგომა ეგრძნო ასეთ მნიშვნელოვან და ამაღელვებელ მომენტში.

# მამაკაცმა ორ თვეში ლატარიაში 264-ჯერ გაიმარჯვა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ შარლოტსვილის მკვიდრი საკუთარ ინტუიციას ენდო და ორ თვეში ლატარიაში 264-ჯერ გაიმარჯვა. ლატარიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯელენ ტეილორმა სამი ციფრისგან შემდგარი ერთი და იგივე კომბინაცია 104 ბილეთში გამოიყენა და ყოველ მათგანში 500 დოლარი მოიგო. საერთო ჯამში კი მამაკაცმა 52 ათასი დოლარი მოიგო. როგორი სტრატეგიით სარგებლობდა ამერიკელი მეორე გათამაშებაში? ამჯერად მან 160 ბილეთში სამი ციფრისგან შედგენილი სხვა კომბინაციით ისარგებლა. მან ამ ჯერზეც თითოეულ ბილეთზე 500 დოლარი მოიგო და, საერთო ჯამში, მისმა მოგებამ 80 ათასი დოლარი შეადგინა. საბოლოოდ კი ის 132 ათასი დოლარით გამდიდრდა.

– განსაკუთრებული შეგრძნება გამაჩნდა. როდესაც ასეთი შეგრძნება გაქვთ, უბრალოდ, უნდა ითამაშოთ, – განაცხადა ტეილორმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.


# ფიფამ ბრაზილია და არგენტინა დასაჯა




მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს (ფიფა) სადისციპლინო კომიტეტმა 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბრაზილიასა და არგენტინას შორის შეწყვეტილ მატჩთან დაკავშირებით სასჯელები ჩამოარიგა.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის 5 სექტემბერს ბრაზილია-არგენტინის მატჩი სტარტიდან რამდენიმე წუთში შეწყდა. მინდორზე ადგილობრივი სამედიცინო სამსახურის წევრები შევიდნენ და მოედანზე არეულობა დაიწყო.

როგორც აღმოჩნდა, პრემიერლიგაში მოთამაშე 4-მა არგენტინელმა ფეხბურთელმა – ემილიანო მარტინესმა, ემილიანო ბუენდიამ, ჯოვანი ლო სელსომ და კრისტიან რომერომ – ბრაზილიაში ჩასვლისას აუცილებელი კარანტინი არ გაიარა. აქედან 2 ძირითად შემადგენლობაში იყო.

ჩატარებული გამოძიების შემდეგ ფიფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მატჩი უნდა გადათამაშდეს. თარიღსა და ჩატარების ადგილს ფიფა მოგვიანებით განსაზღვრავს.

გარდა ამისა, საერთაშორისო ფედერაციამ ბრაზილიისა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციები ჯამში 800 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა, მატჩების საერთაშორისო პროტოკოლის იგნორირებისთვის კი 2-მატჩიანი დისკვალიფიკაციით ყველა ზემოთ ნახსენები ფეხბურთელი დასაჯა.

# გუბანოვა ქართულ რეკორდს ვერ შესწვდა



პეკინში მიმდინარე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ფიგურული ციგურაობის ნაკრების წევრმა ანასტასია გუბანოვამ მე-11 ადგილი დაიკავა.

თავისუფალ ციგურაობაში 19 წლის გუბანოვას გამოსვლა მსაჯებმა 135.58 (70.06+65.52) ქულით შეაფასეს. ეს, მოკლე პროგრამის მსგავსად, მე-10 ადგილის ტოლფასი გამოდგა, თუმცა, საერთო ქულების ჯამში, ანასტასია მაინც მე-11 აღმოჩნდა, მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამით კი 200.98 ქულა მოაგროვა. აღსანიშნავია, რომ გუბანოვას საუკეთესო ჯამური შედეგი 203.91 ქულაა, რაც ოლიმპიადაზე მე-9 მაჩვენებელი იქნებოდა.

ამ შედეგით გუბანოვას შეეძლო, გაეუმჯობესებინა ქართველი ფიგურულად მოციგურავეების საუკეთესო შედეგი ოლიმპიური თამაშებისთვის – მე-10 ადგილი, რომელიც ელენე გედევანიშვილმა 2006 წელს ტურინის ოლიმპიადაზე აჩვენა, ხოლო მორის ყვითელაშვილმა ამ ოლიმპიურ თამაშებზე გაიმეორა.

აღსანიშნავია, რომ ქალთა ტურნირზე მედლის გარეშე დარჩა 15 წლის რუსი სპორტსმენი კამილა ვალიევა, რომელიც, დოპინგ-სკანდალის მიუხედავად, უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა და მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობდა კიდეც, თუმცა თავისუფალ პროგრამაში სუსტად იასპარეზა და ჯამში მხოლოდ მე-4 ადგილზე გავიდა.

ოლიმპიადაზე 1-2 ადგილები მაინც რუსებმა დაიკავეს – ანა შჩერბაკოვამ (255.95) და ალექსანდრა ტრუსოვამ (251.73). ბრინჯაოს მედალი იაპონელ კაორი საკამოტოს (233.13) ერგო.

პეკინში ქართველ ფიგურულად მოციგურავეებს კიდევ ვიხილავთ: დღეს ლუკა ბერულავა-კარინა საფინას დუეტი მოკლე პროგრამას შეასრულებს, ხოლო თუ ფინალში გავიდნენ, ყინულზე 19 თებერვალსაც ვიხილავთ.

# ბასილაშვილმა მოგება გაიხსენა



დოჰას საჩოგბურთო ტურნირზე ბასილაშვილი ტიტულის დაცვას აგრძელებს. ჩვენებურმა მერვედფინალში შვედი ელიას ინერი 6:4; 7:5 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ბასილაშვილი არასტაბილურობით არამარტო ტურნირებზე, კონკრეტულ მატჩებში გამოირჩევა და ასე მოხდა სკანდინაველთანაც. მატჩი საათსა და შვიდ წუთს გაგრძელდა და რამდენიმეჯერ შეიცვალა სიტუაცია. ნიკამ პირველ სეტში მეტოქეს ჩაწოდება თავიდანვე აართვა, მაგრამ მალევე დაუბრუნა და მხოლოდ ბოლოში გატეხა. მეორე სეტში, პირიქით, ჯერ თავად ჩამორჩა, შემდეგ დაიბრუნა, ხოლო გადამწყვეტ მომენტში კიდევ ერთი ბრეიკი მიითვალა.

მეოთხედფინალში ბასილაშვილი უნგრელ მარტინ ფუჩოვიჩს შეხვდება, რომელმაც მერვედფინალში სამხრეთკორეელი სუნვუ კნოუ 6:3; 6:7; 6:3 დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილი ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია. ტიტულამდე გზად მან თვით როჯერ ფედერერი ჩამოიშორა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**16 თებერვალი**

**ფეხბურთი**

### უეფას ჩემპიონთა ლიგა

ინტერი-ლივერპული ...................... 0:2
ზალცბურგი-ბაიერნი ...................... 1:1

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

პიტერბრო-რედინგი ...................... 0:0

### ესპანეთი. პრიმეირა დივიზიონი

ატლეტიკო-ლევანტე ...................... 0:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 24 | 16 | 6 | 2 | 48-20 | 54 |
| 2.სევილია | 24 | 14 | 8 | 2 | 36-16 | 50 |
| 3.ბეტისი | 24 | 13 | 4 | 7 | 45-29 | 43 |
| 4.ბარსელონა | 23 | 10 | 9 | 4 | 38-27 | 39 |
| 5.ატლეტიკო | 24 | 11 | 6 | 7 | 42-34 | 39 |
| 6.სოსიედადი | 23 | 10 | 8 | 5 | 24-21 | 38 |
| 7.ვილიარეალი | 24 | 9 | 9 | 6 | 38-23 | 36 |
| 8.ბილბაო | 24 | 8 | 10 | 6 | 25-21 | 34 |
| 9.ოსასუნა | 24 | 8 | 8 | 8 | 25-27 | 32 |
| 10.სელტა | 24 | 8 | 7 | 9 | 28-25 | 31 |
| 11.რაიო | 23 | 9 | 4 | 10 | 27-27 | 31 |
| 12.ვალენსია | 24 | 7 | 9 | 8 | 36-38 | 30 |
| 13.ესპანიოლი | 24 | 7 | 7 | 10 | 29-34 | 28 |
| 14.ელჩე | 24 | 6 | 8 | 10 | 26-33 | 26 |
| 15.მალიორკა | 23 | 6 | 8 | 9 | 22-36 | 26 |
| 16.ხეტაფე | 24 | 6 | 7 | 11 | 23-27 | 25 |
| 17.გრანადა | 24 | 5 | 9 | 10 | 26-36 | 24 |
| 18.ალავესი | 24 | 5 | 5 | 14 | 19-39 | 20 |
| 19.კადისი | 24 | 3 | 10 | 11 | 20-38 | 19 |
| 20.ლევანტე | 24 | 2 | 8 | 14 | 24-50 | 14 |

### იტალია. სერია ბ

ალესანდრია-ლეჩე ...................... 1:1
ბენევენტო-ასკოლი ...................... 0:2
კროტონე-ბრეშა ...................... 0:1
ფროზინონე-კომო ...................... 1:2

### ბელგია. ა დივიზიონი

გენკი-მეხელენი ...................... 4:1

# ჩრდილოეთ მაკედონია საქართველოსთან სათამაშოდ დაირაზმა



24 და 27 თებერვალს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩრდილოეთ მაკედონიას ჯერ უმასპინძლებს, შემდეგ კი ეწვევა.

სანამ ილიას ზუროსი ფიქრობს, დრაგან ბაიჩმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. მაკედონიელთა თავკაცმა 24 კალათბურთელი გამოიძახა, რომელთაგან 6 ლეგიონერია: 3 ესპანეთიდან, 2 აშშ-ის კოლეჯების ლიგიდან და 1 – რუმინეთიდან.

საინტერესოა, რომ ნაკრებში არიან კალათბურთელები ნცაა-დან: აღმოსავლეთ მიჩიგანის მცველი ლუკა სავიჩევიჩი და ვაშინგტონ სტეიტის ფორვარდი ანდრეი იაკიმოვსკი. რამდენად მოუხერხდებათ მაკედონიელებს მათი ჩამოყვანა, ახლა ეს თემაა საინტერესო, რადგან ოკეანის გაღმა სტუდენტურ კალათბურთში ჩვენც ძალიან ბევრი კალათბურთელი გვყავს.

**ჩრდილოეთ მაკედონიელთა გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

ბოიან კრსტევსკი, კრისტიან ნიკოლოვი, დამიან რობევი, ადემ მეკიჩი დამიან სტოიანოვსკი, ვოიდან სტოიანოვსკი (ყველა სკოპიე), ანდრეი ანდონოსკი, ვიქტორ ისაილოსკი, დარიო მიტევსკი, მაკსიმ მიტევსკი (ყველა უნი ბანკა), ბობან სტაიჩი, სტოიან გუროსკი (ორივე პელისტერი), ვიქტორ ეფრემოვსკი (გოსტივარი), ანდრეი მასლინკო (ტფტ), ანდრეი მიტრევსკი, ამარ ჰოტი (ორივე ფენიკს 2010), პაველ დანაილოვსკი, ვალმირ კაკრუკი (ორივე რაბოტნიჩკი), ანდრეი მაგდევსკი (პლოეშტი, რუმინეთი), ნენად დიმიტრიევიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ტეოდორ სიმიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), ჯეიკობ ვილი (ბეტისი, ესპანეთი), ლუკა სავიჩევიჩი (აღმოსავლეთ მიჩიგანი, ნცაა), ანდრეი იაკომოვსკი (ვაშინგტონ სტეიტი, ნცაა).

პირველი ფანჯრის დროს ილიას ზუროსის გუნდმა უკრაინას 88:83 სძლია, ხოლო ესპანეთთან 61:89 წააგო. მაკედონიელებმა კი ორივე შეხვედრა დათმეს: ესპანეთთან – 65:94, უკრაინასთან – 61:78.

შემდეგ ეტაპზე ჯგუფის 3 საუკეთესო ნაკრები გავა.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**დათო ჭელიძე:** წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

**ჟანა ამირანაშვილი:** ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# სამგლოვიარო განცხადებები



თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდათ. გარდაიცვალა კოსმოფიზიკის ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტი

## ირაკლი ტუსკია

როგორც თავისი საქმის მაღალი დონის სპეციალისტმა, მან დიდი წვლილი შეიტანა კოსმოსური სხივების ნეიტრონული კომპონენტისა და ატმოსფერული წნევის ავტომატურ რეჟიმში მიღებისა და დამუშავების საქმეში. ი.ტუსკია იყო მრავალი სამეცნიერო სტატიისა და გამოგონების ავტორი. გარდა პროფესიონალიზმისა, იგი გამოირჩეოდა მაღალი ზნეობრივი თვისებებით: კეთილშობილებით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობითა და მოყვასისადმი ერთგულებით, რის გამოც დამსახურებულად მოიპოვა თანამშრომელთა სიყვარული და პატივისცემა.

გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და პატივს მიაგებენ ი.ტუსკიას ნათელ ხსოვნას.


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


# ლივერპულმა მოიგო, ბაიერნმა წაიფორხილა



### ინტერი-ლივერპული 0:2

**0:1 ფირმინიო (75), 0:2 სალაჰი (83)**

**ინტერი:** ჰანდანოვიჩი; შკრინიარი, დე ვრეი (რანოკია 88), ბასტონი (დიმარკო 90); დუმფრისი (დარმიანი 88), ვიდალი (გალიარდინი 89), ბროზოვიჩი, ჩალჰანოღლუ, პერიშიჩი; ლაუტარო მარტინესი (სანჩესი 70), ჯეკო

**ლივერპული:** ალისონი; ალექსანდერ-არნოლდი, კონატე, ვან დეიკი, რობერტსონი; ტიაგო ალკანტარა (მილნერი 86), ფაბინიო (ჰენდერსონი 59), ელიოტი (კეიტა 60); სალაჰი, დიოგო ჟოტა (ფირმინო 46), მანე (დიასი 59)

ინტერი ამ მატჩის ფავორიტადაც კი არ ითვლებოდა, მაგრამ მილანელთა მთავარ მწვრთნელ სიმონე ინძაგის საკუთარი კვალიფიკაციის დამტკიცება ევროპულ სარბიელზეც სურდა. უმცროსი ინძაგი ლივერპულზე უკეთეს მეტოქეს საამისოდ ვერ იპოვიდა და მატჩისთვისაც კარგად მოემზადა.

პირველ ტაიმში ინტერმა ლივერპულს შეტევაში ბევრი ვერაფრის გაკეთების საშუალება მისცა. მეტიც, ინტერს თავად ჰქონდა მომენტი, როდესაც ჩალჰანოღლუმ ბურთი ხარიხას გაარტყა.

შესვენების შემდეგ ტაქტიკურ ბრძოლაში უკვე იურგენ კლოპი ჩაერთო. გერმანელმა სპეციალისტმა სამმაგი ცვლილებით ცადა შეტევის გამოცოცხლება და ამან შედეგი მოუტანა. რობერტ ფირმინიომ კუთხურის შემდეგ თავური დარტყმით გაიტანა, მაგრამ ინტერელთათვის ამით უსიამოვნება არ დასრულებულა. მალე მო სალაჰმა მეორეც გაიტანა და მეოთხედფინალში გამსვლელის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ვირჯილ ვან დეიკი

ნიდერლანდელი ფეხბურთელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მცველი რომ არის, მან ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ვან დეიკმა ფენომენალურად ითამაშა დაცვაში და ინტერს თითქმის ყველა შანსი მოუსპო.

**იურგენ კლოპი:**

– ეს არ იყო შესანიშნავი დღე, თუმცა კარგი კი გამოდგა. დადებითი შედეგი მივიღეთ. შეცვლაზე შესულმა ჰენდერსონმა და კეიტამ თავი კარგად წარმოაჩინეს. მომეწონა ლუის დიასიც. ფირმინოს დრო დასჭირდა თამაშში ჩასართავად, თუმცა გოლის შემდეგ თავდაჯერება დაუბრუნდა. ბოლოსკენ ბურთი ჩვენი მეგობარი გახდა და მატჩი მოვიგეთ.

**სიმონე ინძაგი:**

– ბედნიერი და ამაყი ვარ, შესანიშნავად ვითამაშეთ, მაგრამ საუკეთესო მონაკვეთებში გოლი ვერ გავიტანეთ. შემდეგ კი მათ პირველივე შანსის დროს წარმოუდგენელი გოლი გაიტანეს. ინტერი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს დაუპირისპირდა და ამან დიდი თვითშეფასება უნდა მოგვცეს. მეტს ვიმსახურებდით, მაგრამ ეს ფეხბურთია. დღევანდელი საღამო ამოსავალი წერტილი უნდა იყოს. ასე კარგად ადრეც გვითამაშია, მაგრამ არასდროს – ისეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც ლივერპულია.

### ზალცბურგი-ბაიერნი 1:1

**1:0 ადამუ (21), 1:1 კომანი (90)**

**ზალცბურგი:** კონი; კრისტენსენი, სოლეტი, ვიობერი, ულმერი; კაპალდო, კამარა, სეივალდი (შუშიჩი 80); აარონსონი; ოკაფორი (ადამუ 12), ადეიემი (კიაერდგორი 87)

**ბაიერნი:** ულრაიხი; პავარი, ზულე, ლუკას ერნანდესი; გნაბრი (ჩუპომოტინგი 77), კიმიხი, ტოლისო (ზაბიტცერი 80), კომანი; მიულერი, ზანე; ლევანდოვსკი

უნდა ითქვას, რომ ავსტრიელებმა ფავორიტად შერაცხულ ბაიერნთან შესანიშნავად ითამაშეს და მხოლოდ 90-ე წუთზე გაშვებული გოლით დასჯერდნენ ფრეს – 1:1.

მანამდე გოლის ავტორ ადამუს შანსი ჰქონდა, ანგარიში უფრო სოლიდური გაეხადა, მაგრამ ბაიერნი ბენჯამინ პავარმა იხსნა.

ორივე გუნდის მეკარემ კარგად ითამაშა. განსაკუთრებით ეს ზალცბურგის კარის მცველზე ითქმის. საკუთარი თამაში არ გამოუვიდათ ლევანდოვსკის, მიულერს, სანეს... რომ იტყვიან, ფრე ლოგიკური შედეგი აღმოჩნდა.

ფრეს კი, როგორც გითხარით, ბაიერნმა ბოლო წუთზე მიაღწია, როდესაც კინგსლი კომანმა მიუნხენელთა შანსები ძალიან გაზარდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჩიკვუბუიკე ადამუ

ადამუ შეცვლაზე შევიდა. მართალია, დასაწყისშივე, მაგრამ კარგად ჩაერთო თამაშში და მალევე გოლიც გაიტანა. შემდეგაც აწუხებდა ბავარიული კლუბის დაცვას, მაგრამ მეტი გოლის გატანა ვეღარ მოახერხა.

**იულიან ნაგელსმანი:**

– პირველ ტაიმში გვქონდა შეცდომები, განსაკუთრებით დაცვის მარჯვენა ფრთა სცოდავდა. განსაკუთრებით ცუდად ვიმოქმედეთ გაშვებული გოლის ეპიზოდში. მეორე ნახევარში თამაშში ცვლილებები შევიტანეთ და ის გავაუმჯობესეთ, თუმცა შეტევაში მაინც გვაკლდა აგრესია და სიზუსტე დარტყმის დროს. თამაში საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით – მეტოქე ძლიერ წნეხში მოვაქციეთ და ზალცბურგი საკუთარ ნახევარზე შევავიწროვეთ. რა თქმა უნდა, მოგება გვინდოდა, მაგრამ, როცა ანგარიშს მატჩის მიწურულს ათანაბრებ, შედეგად ფრეს უნდა დასჯერდე.

# საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპას მეხუთედ შეუტევს



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეხუთედ გასასვლელად იბრძოლებს.

გეტყვით, რომ ფინალური ეტაპის საგზურები გასული ევროპის ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდს (უნგრეთი, ესპანეთი, მონტენეგრო, ხორვატია, სერბეთი, იტალია, საბერძნეთი, რუსეთი) პირდაპირ ერგო, ხოლო დანარჩენი რვა ადგილი საკვალიფიკაციო ეტაპზე გათამაშდება.

საამისოდ კარგი შანსი აქვთ, რადგან 2022 წლის ევროპირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს თბილისი 18-20 თებერვალს უმასპინძლებს.

ბ ჯგუფში ქართველი წყალბურთელების მეტოქეები სლოვაკეთი, ბელარუსი და პოლონეთი იქნებიან, ევროპის პირველობაზე თამაშის უფლებას კი 2 საუკეთესო მიიღებს.

სხვა ჯგუფებში გუნდები ასე გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი: გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, სლოვენია, ბელგია; ც ჯგუფი: რუმინეთი, მალტა, ლიეტუვა, ირლანდია; დ ჯგუფი: თურქეთი, ნიდერლანდები, უკრაინა, ისრაელი;

**საქართველოს ნაკრების ჯგუფის მატჩების განრიგი ასეთია:**

**18 თებერვალი:** პოლონეთი-სლოვაკეთი; საქართველო-ბელარუსი;

**19 თებერვალი:** ბელორუსი-სლოვაკეთი; საქართველო – პოლონეთი;

**20 თებერვალი:** პოლონეთი-ბელორუსი; საქართველო-სლოვაკეთი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 5. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 7. აეროპორტი სტოკჰოლმში; 11. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 13. შტატი აშშ-ში; 14. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 15. საფრანგეთის პრეზიდენტი; 16. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 17. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 19. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 20. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი.

**თარაზულად:** 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 4. მოძრავი სცენა თეატრში; 8. ფინელი იუმორისტი მწერალი; 9. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 10. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 12. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ნიანგი; 14. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 15. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 16. მტრედის ბარტყი; 18. წითელი ფერის ფრანგული ღვინო; 21. მდინარე ევროპაში; 22. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 23. უძველესი ქართული სამეფო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუარესი; 2. კატალონია; 3. ხერთვისი; 4. დროზერა; 5. გუთანი; 9. ბრინზა; 11. კონკური; 12. ციბონა; 14. ვაუჩერი; 18. აგავა; 19. შარკო.

**თარაზულად:** 4. დურუჯი; 5. გლდანულა; 6. გენია; 7. ბოკერია; 8. ხარება; 10. ეთიკა; 13. სევანი; 15. ოაზისი; 16. საკე; 17. ჭაჭა; 20. ჩაჩავა; 21. კათეტი; 22. დავლური; 23. კუმისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თარჩია; 2. უწერა; 3. ლოსი; 5. ვეშაპი; 6. ურალი; 7. მუტაცია; 11. ზარზმა; 13. აჯამეთი; 14. ჯიხვი; 15. მატრონა; 16. მუტრუკი; 17. ამპერი; 19. აშული; 20. კოხი.

**თარაზულად:** 1. თხუნელა; 4. ცეკვა; 8. სქური; 9. შობა; 10. ჩაროზი; 12. დანლოპი; 14. ჯაზი; 15. მალვაზია; 16. მახტა; 18. ზურნა; 21. პერიე; 22. კრახუნა; 23. ღერღედი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 თებერვალი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0008

ევრო — 3.4113

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0838

100 რუსული რუბლი — 3.9603

## ამინდის პროგნოზი 18 თებერვლისათვის




## პოგბამ, შესაძლოა, ზაფხულში მანჩესტერი დატოვოს



მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველმა პოლ პოგბამ, შესაძლოა, ზაფხულში მანჩესტერ იუნაიტედი დატოვოს, რადგან მას კონტრაქტი ეწურება და ჯერჯერობით ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ ჩქარობს.

პოგბას დამატების სურვილი პსჟ-ს ჰქონდა, თუმცა ბოლო პერიოდში პარიზელები ამ მხრივ აღარ აქტიურობენ. საუბარია იმაზეც, რომ პოლი, შესაძლოა, იუვენტუსში დაბრუნდეს.

## რეალის ხელმძღვანელობა ანჩელოტის მუშაობით უკმაყოფილოა

რეალის ხელმძღვანელობა ანჩელოტის მუშაობით უკმაყოფილოა. განსაკუთრებით ეს პსჟ-სთან მატჩის შემდეგ გამწვავდა, რადგან რეალმა მთელი მატჩი დაცვაში გაატარა და მეტოქის კართან არც ერთი საგოლე მომენტი არ შექმნა.

გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ანჩელოტის რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტი აქვს და ამის გამო რეალის გასახდელში დაძაბული ატმოსფეროა.

თუ რეალმა წელს რომელიმე ტიტულის მოგება ვერ შეძლო, ანჩელოტის აუცილებლად გაუშვებენ.

## სიმონე ინძაგი: „ლივერპულთან უფრო მეტს ვიმსახურებდით“




ინტერის მთავარმა მწვრთნელმა სიმონე ინძაგიმ ლივერპულთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი ორბურთიანი სხვაობით წაგებას არ იმსახურებდა და ინტერს არ გაუმართლა:

– ვთვლი, რომ კარგად ვითამაშეთ და, როგორც მინიმუმ, მხოლოდ ერთი ბურთით უნდა წაგვეგო, მაგრამ, სამწუხაროდ, ლივერპულმა შეცდომები არ გვაპატია. მათნაირ ძლიერ გუნდთან წელს ჯერ არ გვითამაშია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

გოგო ბიჭს ეკითხება:

– ჩემთვის ხელების ფათურსა და სექსზე დაყოლიებას ნამდვილად არ აპირებ?

– არა, არა, პრეზერვატივიც კი არ წამომიღია.

– მე კი მაქვს.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– სად დაეთრეოდი მთელი ღამე?

– საყვარელთან!

– რას ბოდიალობ, სულელო? 50 წლის ხარ... დაეგდე და დაიძინე, მოეშვი მაგ ფანტაზიორობას!

●●●

მკითხავი მამაკაცს ეუბნება:

– თქვენ ორი ბავშვის მამა ხართ...

– გეშლებათ, სამი ბავშვის მამა ვარ.

– მე კი არა, თქვენ გეშლებათ...

●●●

სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს ეუბნება:

– გინდა, ახალი სკანდალური ამბავი მოგიყვე?

– მიდი აბა...

– მთელი ხელფასი დავხარჯე...

●●●

გეოგრაფიის გაკვეთილი, მასწავლებელი შეკითხვას სვამს:

– აბა, ბავშვებო, მითხარით, სად აღმოჩნდებით, თუკი დედამიწას ჩრდილოეთ პოლუსზე გავბურღავთ?

– საგიჟეთში!

●●●

ბრალდებულს ეუბნებიან:

– თქვენ მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა თქვენ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

– ანანასები, ოკეანე, პალმები!

## მიშო სულუხიას სიმღერა ამერიკულ ფილმში აჟღერდება



მომღერალ მიშო სულუხიას მუსიკალური კომპოზიცია ამერიკულ ფილმში აჟღერდება.

ეს სასიხარულო ამბავი მიშომ თავის ერთგულ მსმენელებს თავად გააცნო:

– მინდა გაგიზიაროთ კარგი ამბავი. დიდი ხანია ვფიქრობ, რომ საქართველოში შექმნილ მუსიკალურ პროდუქტსაც შეუძლია ამერიკულ არეალზე რაიმე ეფექტის მოხდენა, თუ ის გულწრფელად და დიდი მონდომებით არის შექმნილი, რაც მე არ დავაკელი ჩემს ახალ ალბომს „ღამით სიარული“, რომლის ტრეკებიც საკუთარი შვილებივით მიყვარს და დღითიდღე წინილებივით მტაცებენ ხელიდან უცხოური ფროდაქშენები. თუმცა ჯერ მაინც მინდა, რომ ის ჩემს ქვეყანაში გაიცნონ და შეიყვარონ, რადგან ჯერჯერობით მე ამ ქვეყანაში ვცხოვრობ და მინდა, ყველაფერი საუკეთესო აქ გადამხდეს.

მადლობას ვუხდი თანადგომისთვის ყველა ჩემს კოლეგასა და თანამშრომელს, ვინც ჩემი შრომა შესამჩნევი და რეალიზებული გახადა.

## ნინო ხარატიშვილის ახალ რომანს ჰამბურგის თეატრში დადგამენ



გერმანიაში მოღვაწე ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის ახალი რომანი „ნაკლული სინათლე“ ჰამბურგის თეატრში დაიდგმება.

ნინო ხარატიშვილის ახალ რომანზე მუშაობა უკვე დასასრულს უახლოვდება და 26 თებერვლიდან ჰამბურგის თეატრში მისული მაყურებელი მის საპრემიერო წარმოდგენებს იხილავს.

სპექტაკლს ჰამბურგის თეატრი „თალია“ წარმოადგენს. ნინო ხარატიშვილის ახალ რომანზე ჰამბურგის თეატრის მსახიობებთან ერთად რეჟისორი ჯეტ შტეკელი მუშაობს.

## გოგი დოლიძე პრემიერის გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა



პროფესორი გოგი დოლიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით რობერტ სტურუასთვის მიწის ნაკვეთის მიყიდვის თაობაზე უკმაყოფილოა:

– ბატონი პრემიერი ნამდვილად შეცდა, როცა ბატონ რობერტ სტურუას მიჰყიდა უმალ სადავოდ გამხდარი მიწის ნაკვეთი – ჯერ კეთილ უნდა ენება, ბაღნარად ექცია იგი, შიგ ერთი დიდებული სასახლეც ჩაედგა და ასე მიერთმია ჩვენი სახელოვანი თანამემამულისა და თანამედროვისთვის. აი, ეს იქნებოდა ნამდვილი საჩუქარი და იმის დადასტურებაც, რომ ჩვენისთანა პატარა ერსაც გააჩნია მადლიერებისა და ღირსების გრძნობა. ყიდვა-გაყიდვა, რა, ქარვასლაა? როგორც თბილისელ ვაჭარსაც კი გაუკვირდა უკვდავ „ქეთო და კოტეში“...

## ქალი მეუღლისგან თავის დასაცავად დაქირავებულ პირად მცველს ცოლად გაჰყვა



ამერიკის ორეგონის შტატის იუნიონის ოლქის მკვიდრი ქალი ცოლად გაჰყვა პირად მცველს, რომელიც აგრესიული ყოფილი მეუღლისგან თავის დასაცავად დაიქირავა.

35 წლის ელიზა სტივენსი სასტიკ ქმარს გამოექცა. ის საკუთარი თავის და 13 წლის ქალიშვილის გრეისონის გამო შიშობდა. მეგობრებმა მას პირადი მცველის აყვანა ურჩიეს.

სტივენსმა მათი რჩევა გაითვალისწინა და მცველად 35 წლის მეგობარი დერეკ სტივენსი დაიქირავა, რომელთან ერთადაც ადრე სკოლაში სწავლობდა.

მალე ქალმა იგრძნო, რომ პირადი მცველის მიმართ გრძნობა გაუჩნდა და ეს ყოველივე მამაკაცს გაუმხილა. საკუთარი გრძნობის და ასევე იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეეჩვია მამაკაცს მისი გოგონა, ქალმა სტივენსს ულტიმატუმი წაუყენა, ან ისინი ერთად იცხოვრებდნენ, ან სამუშაო შეთანხმებას გაწყვეტდნენ.

მამაკაცმა თავდაპირველად უარი განაცხადა, თუმცა ორი კვირის შემდეგ გადაურეკა და უთხრა, რომ თავადაც შეყვარებულია ელიზაზე. წყვილმა იქორწინა და მას შემდეგ მათ უკვე ორი ბავშვიც შეეძინათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გოჩა კაპანაძემ მარო მაყაშვილს სპექტაკლი მიუძღვნა




რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ საქართველოს ეროვნულ გმირს მარო მაყაშვილს სპექტაკლი მიუძღვნა.

„მარო მაყაშვილის დღიური“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომლის საპრემიერო ჩვენება 25 თებერვალს ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება.

– საყვარელო მამა! მე ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისგან 112 ვერსზე ვართ, მეორისგან – 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან. ცოტა თხილი და, თუ შესაძლებელია, რამე ტკბილეული გამოგზავნეთ. თავს გაუფრთხილდით. გკოცნით ბევრს. Iსე, არა ცივა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეშინიანთ. გავიმარჯვებთ სახელოვნად. შენი მარო. – მარო მაყაშვილის ბოლო წერილი მამას ფრონტიდან.

სპექტაკლის ნახვა მაყურებელს ცხინვალის თეატრის ფეისბუქგვერდზე პირდაპირ ეთერში შეეძლება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 18 თებერვლისათვის

**ვერძი** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 2. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. მე-14 საუკუნის ქართველი მხატვარი, მოხატა უბისის მონასტერი; 5. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 9. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 11. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 12. ქართველი მგოსანი; 14. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 18. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 19. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო.

**თარაზულად:** 4. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი საფრანგეთში; 5. ბადაგითა და ფქვილით მომზადებული ტკბილეული; 6. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 7. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 10. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 13. გამოცანა ნახატებით, ასოებითა და სიმბოლოებით; 15. სახელმწიფო ევროპაში; 16. უკრაინის პარლამენტი; 17. ფულის ერთეული არგენტინაში; 20. მიკროკლიმატის მქონე აპარატი დღენაკლული ჩვილი ბავშვების სამკურნალოდ; 21. აგავისგან დამზადებული მექსიკური არაყი; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 23. შოკოლადით დაფარული ნაყინი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*